

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ოფისის მონიტორინგის განყოფილება

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წაშში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, მთიან რაიონებში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 770 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

თაბარის ციხისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის სამუშაოებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ზაურ ახვლედიანთან ერთად გაეცნო

არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, აღნიშნული პროექტი მოიცავს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციას და მიმდებარე ინფრასტრუქტურის სრულ კეთილმოწყობას. მისივე თქმით, ეს იქნება ერთ-ერთი გამოჩენილი ადგილი ბათუმში ახალი სასაფლაო და დასასვენებელი სივრცით. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ციხის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, კეთილმოეწყო ციხის მიმდებარე ტერიტორია, ბილიკები და კიბე, დამონტაჟდა განათების სისტემა, მოეწყო ციხესთან მისასვლელი საავტომობილო გზა და პარკირების სივრცე, არსებული ტერასა მოპირკეთდა ფილებით, მოეწყო ტერასებს



შორის ასასვლელი ბილიკები.

„აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ შეისყიდა თაბარის ციხის კონსერვაციისა და ვიზიტორებისთვის მისი ადაპტაციის პროექტი და ბათუმის მერიამ განახორციელა სამუშაოები სრული დაფინანსებით. ძეგლის რეაბილიტაციის მიმდინარეობისას, განდა სხვა დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, რომელსაც სააგენტო რამდენიმე დღეში ბათუმის მერიასთან ერთად დაიწყებს“, - განაცხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ზაურ ახვლედიანმა. თაბარის ციხეზე მიმდინარე სამუშაოები, რომლისთვისაც 1 მილიონ 534 ათასი ლარი გამოიყო, აპრილში დასრულდება.

ბათუმმა ბილახის პირველ საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა

ხატიბა იაშვილი 555 18 48 88

ორი დღის განმავლობაში ტურიზმის სფეროს ექსპერტები და გიდები პორტუგალიდან, შოტლანდიიდან, სამხრეთ აფრიკიდან, ესტონეთიდან, პოლონეთიდან და ისრაელიდან, ქართულ მომხსენებლებთან ერთად, გიდის პროფესიის მნიშვნელობასა და საერთაშორისო გამოცდილებაზე საუბრობდნენ. კონფერენცია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინიციატივით და ორგანიზებით გაიმართა. გახსნის ცერემონიას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტყარაძე ესწრებოდა, რომელმაც სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ტურიზმი რეგიონის ეკონომიკისთვის ერთ-ერთი წამყვანი სფეროა, შესაბამისად, ხარისხიან სერვისის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მინისტრის თქმით, გასულ წელს აჭარამ 4,5 მილიონ ტურისტს უმასპინძლა და მათგან 2 მილიონ 600 ათასი უცხოელი იყო.

კონფერენციის პირველივე დღეს რეგიონის წარმომჩენისთვის 2023 წლის საუკეთესო გიდები დაჯილდოვდნენ. „ამ ორი დღის განმავლობაში დაიწყო სამომავლო თანამშრომლობაზე საუბარი როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ასევე, გიდისთვის საჭირო სხვა სექტორებთანაც. ვფიქრობთ, ერთად შევქმნათ ისეთი ისტორიული საინფორმაციო მასალა, რომელიც გიდს დაეხმარება რეგიონის ცნობადობის გაზრდაში. კონფერენციის ფარგლებში პანელურ სესიებზე ისეთი მნიშვნელოვანი თემები განვიხილეთ, როგორცაა, გიდის როლი ტურისტული ადგილის პოპულარიზაციაში - გიდი, როგორც ტურისტული ადგილის ელჩი; გლობალური ტურიზმი და გიდის პროფესია - უნიკალური გამოცდილება, თანამედროვე ტექნოლოგიები და გამოწვევები; ტურიზმი და მუზეუმები - მუზეუმი, როგორც კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიის საცავი. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ტურისტული გიდების ასოციაციების მსოფლიო ფედერა-



ციის, პორტუგალიის ტურისტული გიდებისა და ტურ-მენეჯერთა ასოციაციის, საქართველოს და აჭარის გიდების ასოციაციების ხელმძღვანელები, გასტრონომიის, ღვინისა და ტურიზმის დარგის ექსპერტები“, - აღნიშნა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსმა თინათინ ზოიძემ.

კონფერენციის მეორე დღე მუზეუმს, როგორც კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიის საცავს დაეთმო. მედიასთან საუბარში გიდმა მინდია ბაყუნაიშვილმა აღნიშნა, რომ მათი პროფესიის განვითარებისთვის მსგავსი ტიპის შეხვედრები ძალზედ მნიშვნელოვანია. ისინი ეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის გიდების მუშაობას, მათ სპეციფიკას და კულტურას, ეს კი პროფესიულ განვითარებაში უწყობთ ხელს.

ქვეყნის მასშტაბით დასაქმებული გიდები ამ სფეროში მომუშავე ნ ქვეყნის ათობით პროფესიონალს შეხვდნენ და მათი გამოცდილება გაიზიარეს. სწორედ ეს იყო კონფერენციის მიზანიც.

ISSN 2720-8702
9 772720 870003

გამოინერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციის «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

პოლიტიკურად აქტიური კვირა და გზავნილები - ბრიუსელიდან

თამარ ლამარაძე 595 85 80 06

16 თებერვალს პარლამენტში 9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მეორე სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელიც 7 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა

შეხვედრას ესწრებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები „ლელო“-ს გარდა, არასამთავრობო სექტორიდან კი მხოლოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

დებუტეტებმა იმსჯელეს საკითხებზე, რომელთა ცვლილებებს ითხოვს ვენეციის კომისია. ესენია სპეციალური საგამოძიებო და პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურების, ასევე, ანტიკორუფციული ბიუროსთან დაკავშირებული ნორმები.

შეხვედრის დასრულების შემდეგ შალვა პაპუაშვილმა თქვა, რომ ანტიკორუფციული ბიუროსთან დაკავშირებით 17 საკითხიდან 15-ზე პოზიციების შეგერება მოხერხდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ოპოზიციისა და მთავრობის წარმომადგენლები ვერ შეთანხმდნენ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის და პერსონალური მონაცემთა დაცვის სამსახურის ხელმძღვანელების არჩევის წესთან დაკავშირებით. პაპუაშვილის თქმით, ოპოზიციას უნდა, პარლამენტის მონაწილეობა ხელმძღვანელების არჩევის პროცესში იყოს კვალიფიციური უმრავლესობით, ეს კი მისთვის მაინც არააქტიურია.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მტკიცებით, მმართველ განხორციელების შენიშვნების გაზიარების პოლიტიკური ნება არ აქვს, დამოუკიდებელი დებუტატი თამარ კორძია კი აცხადებს, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე მმართველი პარტია ნამდვილად ისმენდა ოპოზიციის მოსაზრებებს.

„ლელოს“ წევრები, რომლებმაც 9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით შეხვედრებს ბოიკოტი გამოუცხადეს, დამოუკიდებლად შეხვედრის საქართველოში ევროკავშირის ელჩს და გუნდის გეგმა „9 ნაბიჯი ევროპისკენ“ გაცხეს.

„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი ბადრი ჯაფარიძის განცხადებით, მათი ამოცანაა, საქართველოს პარტნიორობის და მეგობრების სრულად ინფორმირება, თუ რა ნაბიჯები აქვს „ლელოს“ განსაზღვრული და რას სთავაზობს საზოგადოებას.



ეს კვირა გამოჩენილი იყო ქვეყნის გარეთ ვიზიტებით. მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე წასვლა. მან მსოფლიო ლიდერებთან, სახელმწიფოების მეთაურებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წამყვან წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე დისკუსიებში. აღნიშნულ კონფერენციას საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილიც ესწრებოდა.

სალომე ზურაბიშვილმა კონფერენციის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ვერა ჟუროვასთან საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი განიხილა. პრეზიდენტის თქმით, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ იმ მომენტში, როცა რუსული პროპაგანდა აქტიურად ცდილობს საქართველოში გავლენების გაფართოებასა და ფეხის მოკიდებას. მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან, ასევე, ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენთან, რომელსაც მადლობა გადაუხადა ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებისას გამოხატული მხარდაჭერისა და რეკომენდაციების შესახებ გაკეთებული მკაფიო განცხადებისათვის.

კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რა თქმა უნდა, ირაკლი კობახიძის საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში ბრიუსელში პირველი ვიზიტი იყო. პრემიერი ბრიუსელში 19 თებერვალს გაემგზავრა.

კობახიძის ბრიუსელში ჩასვლას „ლელოს“ წარმომადგენლები კრიტიკულად აფასებენ. პარტიის წევრ ანა ნაცვლიშვილის თქმით, კო-

ბახიძე ბრიუსელში ჩავიდა არა შესრულებული რეკომენდაციებით, არამედ უკვე დარღვეული რეკომენდაციებით, რომლებიც საარჩევნო რეკომენდაციებთან დაკავშირებულია. „მისი განცხადებები კიდევ ერთხელ არის იმის დასტური, რომ მთავრობა არ აპირებს შეასრულოს რეკომენდაციები და მათი გეგმა არის ის, რომ რუსეთის ინტერესები გაატაროს და არა ევროპული“, - აღნიშნა ნაცვლიშვილმა.

მმართველ გუნდში კობახიძის ვიზიტს უმნიშვნელოვანესი უწოდეს, რადგან მან იმ მნიშვნელოვან საკითხებს გაუსვა ხაზი, რომლებიც სამომავლოდ ევროკავშირში გასაწევრიანებას დაგეგნობდა.

თავდაპირველად, ევროკავშირი-საქართველოს ასოციირების სხდომის დაწყებამდე, ირაკლი კობახიძე საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელს, ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტ ჯოზეფ ბორელს შეხვდა, რომელმაც კობახიძეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესზე ისაუბრეს. ირაკლი კობახიძემ ხაზი გაუსვა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ სტატუსის მინიჭება საქართველოს ხელისუფლების ინტენსიური ძალისხმევითა და გადადგმული ნაბიჯებით შედეგად. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს აქტიურ მუშაობას ევროკავშირში ინტეგრაციის შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად, იმისთვის, რომ გაიხსნას ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები. პრემიერ-მინისტრმა ამ მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ უკვე გადადგმულ ნაბიჯებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუ-

ბრა. ბრიუსელში, ევროპულ საბჭოში, ირაკლი კობახიძემ სამთავრობო დელეგაციასთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველო-ევროკავშირის ასოციირების საბჭოს მე-8 სხდომაში, რომელსაც საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროკომისიის ვიცეპრეზიდენტი ჯოზეფ ბორელი ხელმძღვანელობდა.

შეხვედრაზე ბორელმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას, იბრძოლოს ანტიდასავლური რიტორიკის და ინფორმაციის მანიპულირების წინააღმდეგ, რადგან ევროკავშირის სურვილია, ამ კუთხით საქართველოს მხრიდან უფრო მეტი ნაბიჯი დაინახოს. მისივე თქმით, ევროკავშირის კარი საქართველოსთვის ღიაა.

„კარი გაიღო, ახლა თქვენ უნდა შეხედოთ ამ კარს და ყველამ იცის, რას ნიშნავს ამ კარში შესვლა. ეს არის დამსახურებებზე დაფუძნებული პროცესი, პირობები უნდა დაეკმაყოფილებინ, რეფორმები უნდა გატარდეს. მეტს ვერ მოვიტოვებ. ნუ ეძებთ კატის მეხუთე ფეხს. კარი ღიაა და საუბარია იმ მოთხოვნებზე, შესრულებას, რომლებიც ყველასთვის არის წარდგენილი“, - განაცხადა ბორელმა.

ირაკლი კობახიძე ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში შეხვდა ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს. შეხვედრაზე პრემიერმა აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ მისი პირველი ვიზიტი ბრიუსელში საქართველოს მთავრობის მხრიდან ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხის პრიორიტეტულობის დემონსტრირებაა. მთავრობის მეთაურმა შარლ მიშელს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველო ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პირად ჩართუ-

ლობა და მხარდაჭერას აფასებს. თავის მხრივ, შარლ მიშელმა ირაკლი კობახიძეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა.

ბრიუსელში ვიზიტის დროს კობახიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ამბიციურ გეგმებსა და მიზნებზე ევროკავშირში გასაწევრიანებაზე.

„ერთი რამ შემიძლია, ვთქვა, ამბიციური გეგმები გვაქვს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. 2030 წელს, ეს წელი იყო ნახსენები პრეზიდენტ მიშელის მიერ, საქართველო იქნება უფრო მეტად მზად წევრობისთვის, ვიდრე ნებისმიერი სხვა კანდიდატი ქვეყანა. ეს არის ჩვენი ამბიციური გეგმა. ეს არის ჩვენი ამბიციუა. ჩვენ ვართ ერთგულნი ამ დღის წესრიგის, იმ ნაბიჯებისადმი, რომელიც გადასადგმელია ევროინტეგრაციისთვის. იმედი გვაქვს, 2030 წლისთვის მაინც, საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. გვინდა, შევინარჩუნოთ მჭიდრო კოორდინაცია ჩვენს კოლეგებთან ევროკომისიასა და სხვა უწყებებში, რათა მოხდეს საერთო დღის წესრიგის განხორციელება, გადასვლა ახალ ეტაპებზე. ჩვენი უახლოესი მიზანია, დავიწყოთ გაწევრიანების შეხებზე მოლაპარაკებები“, - განაცხადა კობახიძემ.

პრემიერ-მინისტრმა ბრიუსელში ხაზგასმით აღნიშნა ჩვენს ქვეყანაში წარმატებული რეფორმების განხორციელება. „წარმატებული რეფორმები ხორციელდება ქვეყანაში. ეს ზრდის ქვეყნის მედეგობას, გამძლეობას, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისთვის. ამ კონტექსტში, მივესალმებით პრიორიტეტების გეგმას, რომელიც ევროკავშირთან ინტეგრაციის უფრო მჭიდრო პროცესს გულისხმობს“, - აღნიშნა მან და დასძინა, რომ საქართველო სანდო მოკავშირე და პარტნიორია რეგიონში.

რაც შეეხება ბრიუსელიდან გზავნილებს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისიის ოლივერ ვარჷის განცხადება. მისი თქმით, შეხვედრის მიზანი საქართველოს ევროკავშირში შეყვანა და მალე საქართველო ნამდვილად ევროპულ ქვეყნად იქცევა.

„სინაზრულით მივესალმები ბრიუსელში საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი კობახიძეს. მახარებს საქართველოს ძლიერი ერთგულება ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე ძალისხმევისადმი.“

იხ. მე-6 გვ.

პრონია

რეგიონის პირველი პირები, საქართველოს პარლამენტის, აჭარის უმაღლესი საბჭოს, აჭარის მთავრობის წევრებთან ერთად, დამეწვრილი საავტომობილო გზის აღდგენით სამუშაოებს რამდენიმე ლოკაციაზე გაეცნენ, მათ შორის, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცივაძეებთან და სხალთის ხეობაში. ცივაძეებში მეწყერმა გოჩა ცივაძის სახლი და დამატებითი სათავსები წაიღო. მეწყერმა ასევე იავარქმნა რამაზ ქარცივაძის ბედელი და ბოსელი. ხელოში, შუახევსა და ქედაში დამეწვრილი ტერიტორიების გაწმენდა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. უსაფრთხო ადგილებზე გაყვანილია 400-მდე ოჯახი, აქედან 59 - ხელოში და თითქმის ამდენივე - შუახევში. სამივე მუნიციპალიტეტში დამეწვრილი გზების გაწმენდა დასრულებულია. გაიწმინდა ადგილობრივი მნიშვნელობის, შიდასასოფლო საავტომობილო გზები და საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიები. ასობით ადგილიდან გატანილია მეწყერული მასა. ამ ეტაპზე გაწმენდილია 140-ზე მეტი მიმართულება. სამუშაოები უწყვეტად გრძელდება დარჩენილ დამეწვრილ მონაკვეთებსა და მთისპირა სოფლების მცირე უბნებზე. გეოლოგიური სამსახურის წარმომად-

გენლებმა ასეულობით დამეწვრილი ადგილი შეისწავლეს. მათი დასკვნების შესაბამისად გატარდება შემდგომი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტებში სტიქიის შედეგად მიყენებულ ზარალს კომისიები სწავლობენ და ოგი უახლოეს პერიოდში განხორციელებული ღონისძიებები დაზარალებული ოჯახებზე შესაბამისი კომპენსაციები გაიცემა.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა რეგიონის სტამბოლის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე EMITT-2024-ზე წარადგინა. საქართველოს სტენდთან გამოფენის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ჩვენს ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს. თურქეთიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების გაზრდის მიზნით, შეხვედრები გაიმართა თურქ ტურისტული ბიუროსთან, მოეწყო პრეზენტაცია და საიმეო ვიდეორგოლების ჩვენება. 3-დღიან გამოფენას, რომელსაც 30 ათასამდე ვიზიტორი ეწვია, მსოფლიოს 95 ქვეყნიდან 595 ტურისტული ორგანიზაცია და კომპანია, ასევე 150-ზე მეტი ტურისტული ბიურო იმყოფებოდა.

„ლევიან სამხარაულის სახელობ-

ის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნით, ქალაქ ბათუმში 199 ავარიული სახლია. ბათუმის მერიის ინფორმაციით, ავარიული სახლების ნუსხა განსაზღვრულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის 2023 წლის 30 მარტის №15.15230896 განკარგულების შესაბამისად. მათივე ინფორმაციით, 2024 წელს ქალაქში ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები 3 მისამართზე განხორციელდება. შესაბამისი ხელშეკრულებები დადებულია და სამუშაოები 2024 წლის პირველ კვარტალში დაიწყება. მისამართები, სადაც სამუშაოები განხორციელდება, ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული სახლებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ არის განსაზღვრული და ღირებულება, ჯამში, 2,499,998.93 ლარია. 2023 წელს ავარიული შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, სამუშაოები 5 მისამართზე დასრულდა და, ჯამში, 3 549 990 ლარი დაჯდა, ხოლო ავა-

რიული ნაგებობისა და ახალი სახლების მშენებლობა 5 მისამართზე მიმდინარეობს და მათი ღირებულება 58 741079 ლარია.

„ევროკავშირში გაწევრიანების პოლიტიკური კრიტერიუმები და ევროპეიზაცია“ - ასე ჰქვია ზამთრის სკოლას, რომელიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა. აღნიშნული სკოლა „Erasmus+“-ის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებულია უან მონეს მოდულის „ევროკავშირში გაწევრიანების პოლიტიკური კრიტერიუმები და საქართველოს, მოლოდინისა და უკრაინის ევროპეიზაციის“ ფარგლებში ტარდება, რომელიც იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2023 წლიდან ხორციელდება. აღნიშნული მოდული მიზნად ისახავს ევროკავშირის ღირებულებების პოპულარიზაციას, ევროკავშირის შესახებ კვლევებისა და სწავლების განვითარების ხელშეწყობას. ზამთრის სკოლაში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის 30 სტუდენტი მონაწილეობს, ასევე, ჩართული არიან სტუდენტები უკრაინიდან და მოლოდინის რესპუბლიკიდან.

მომავალი საბაზის იაშვილი



პრობლემებს არა მიჩუმათება, ბალაჭრა სჭირდება...

ლუაზა ხომბერიძე 593 50 82 69

საქართველოში საყოველთაო პოლიტიკური მოვლენები მიმდინარეობს - ხელისუფლებაში ცვლილებების ფონზე გააქტიურებული საარჩევნო პროცესები როგორც პოზიციას, ასევე ოპოზიციას ახალ რაიონში წარმოადგენს, ვინ ქვეყნის კეთილდღეობისთვის იღვწის, ვინ - სკამისთვის

პოლარიზება და ურთიერთში საარჩევნო მართონის დროს ახალი როლია და, ამდენად, არც საკვირველი, ოღონდ, როცა ევროკავშირის კართან ვდგავართ და იქ შესასვლელად ვემზადებით, არ უნდა დავივიწყოთ, რომ დასავლელი პოლიტიკოსები გულდასმით გვაკვირდებიან და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დასაცავად ჩვენს მზაობას განიხილავენ. მომავალი ისეთი გვექნება, როგორც ჩვენი ქმედებებით დავიმსახურებთ, ეს აქსიომა კი მთელმა ერმა უნდა გაითავისოს, ყველამ - უკლებლივ...

რა არის უმთავრესი ქვეყნის წარმატებისთვის? როგორია პოლიტიკური კალენდრისკომი და როგორ შევადგინოთ მოვლენები? რა უნდა გავაკეთოთ ახლა და მომავალში? - ამის შესახებ ვესაუბრებით პოლიტოლოგ გელა ირმაშვილს.

- რას გვეტყვით ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებზე?

- ამჟამად საქართველოში პოლიტიკური პროცესები გამოცოცხლებულია. იქმნება სხვადასხვა ოპოზიციური პლატფორმა, საარჩევნო მართონი დაწესდება და პოლიტიკური დისკუსიები აქტიურ ფაზაშია. პარტიები უზრუნველყოფენ მართონის მოსახლეობასთან, თავიანთ გეგმებს აცნობენ მნიშვნელოვან საკითხებზე. როგორც ცნობილია, 2024 წელი უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის - ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. ცხადია, მმართველი პარტია და ოპოზიციის შედეგებიან, ამ საარჩევნო პროცესში თანმიმდევრულნი იყვენ, ანუ ამომრჩეველი თავიანთ უპირატესობაში დაარწმუნონ. ამის ნიშნები უკვე ჩანს, რისი გამოძახილიცაა მთავრობაში განხორციელებული ცვლილებები, ასევე, ოპოზიციურ სპექტრში მიმდინარე პროცესები.

- პრემიერ-მინისტრის შეცვლამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია...

- პრემიერ-მინისტრის ცვლილების საკითხი მომწიფებული იყო და ამაზე მედია და ექსპერტები ღია საუბრობდნენ, თუმცა ირაკლი ლაიბაშვილი პოლიტიკიდან არ წასულა, მან მნიშვნელოვანი პოსტი დაიკავა - პარტიას უხელმძღვანელებს საარჩევნოდ, პრემიერ-მინისტრი კი ირაკლი კობახიძე გახდა. მოკლედ, გადასაცვლების პოლიტიკა განხორციელდა ქვეყანაში. უნდა აღინიშნოს, რომ კობახიძე მმართველ გუნდში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, სწორედ მისი ხელმძღვანელობით დაღო საქართველომ ოცნებაში ადგილობრივ არჩევნებში კარგი შედეგი. რაც შეეხება მის პოლიტიკურ ბეგრანულს, ეს არის ადამიანი, რომელმაც საქართველოს უახლეს ისტორიაში კონსტიტუციის მნიშვნელოვანი ცვლილება მოახდინა...

- ექსპერტები აცხადებენ, რომ ივანიშვილი მთავრობასა და პარლამენტში, რეალურად, ღარიბაშვილის და კობახიძის გუნდები გაანეიტრალა...

- არ ვფიქრობ, რომ ღარიბაშვილის და კობახიძის გუნდის წევრები ცალკე სუბიექტებად იყვნენ წარმოდგენილი ალმასრულბელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში.



მიმაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილმა, გარკვეულწილად, დაარღვია პოლიტიკაში არდაბრუნების პირობა. ეს მიანიშნებს, რომ ხელისუფლება შეეცდება მაქსიმალური ძალების მობოლიზებას 2024 წლის არჩევნებში, ანუ იმ სტატუს-კვოს შენარჩუნებას, რაც გააჩნია.

- ამას წინათ საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე წლიური ანგარიშით წარსდგა. ელოდით მისგან კრიტიკულ გამოცხადებას?

- საქართველოს პრეზიდენტი ბოლო პერიოდში, გარკვეულწილად, ვერ ახორციელებს დაბალანსებულ პოლიტიკას. როგორც ცნობილია, ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა სალომე ზურაბიშვილს სერიოზული ბრალდება წაუყენა და მოკლედ მისი მართონშიც მოუგო პროცესი - პრეზიდენტი გამტყუნდა. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკაში დარჩენის საკითხს, მეჩინია, რომ ის გაიზიარებს ყოფილ პრეზიდენტ მარგველაშვილის ბედს. სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტს არ გააჩნია მნიშვნელოვანი ბეგრანული, მიუხედავად იმისა, რომ ის გამოცდილი დიპლომატია. როგორც ცნობილია, მას დამოუკიდებლად გაუჭირდა საპრეზიდენტო არჩევნებში მოგება, მხოლოდ მეორე ტურის შემდეგ შეძლო გამარჯვება, ისიც ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერის შედეგად.

- თუ კობახიძე ძალიან გაძლიერდა, შესაძლოა ივანიშვილს უღალატოს, - განაცხადა კონფლიქტოლოგმა ბაბა ზაქარაიშვილმა...

- საერთოდ, პოლიტიკაში ყველაფერი დასაშვებია, განსაკუთრებით, ქართულ რეალობაში. როგორც იტყვიან, ენას ძალია არ აქვს. ამის არაერთი მაგალითი გვაქვს. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, გახარიას გადადგომა გავიხსენოთ, რაც ღალატის ტოლფასად იქნა მიჩნეული. რაღაცნაირად მჭერა, რომ კობახიძის გამოკვეთა პოლიტიკაში სწორედ ივანიშვილის მეშვეობით მოხდა და უახლოეს მომავალში არ მგონია, კობახიძე იგივე ნაბიჯი გადადგას, რაც თავის დროზე - გახარია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მმართველ გუნდში არსებობენ სხვა ლიდერები, იგივე კალაძე, ანუ სახეზეა ეგრეთ წოდებული მიმეწინიანი ფიგურები და, თავიანთი სამომავლო პოლიტიკური ხედვებით ისინი აქტიურ პოლიტიკაში არიან. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში გააქტიურდება კალაძის წარმომხდინის საკითხი სახელისუფლებო ვერტიკალში. ვგულისხმობ

მოზ ალმასრულბელ ხელისუფლებას.

- პრეზიდენტის იდეას - შექმნას „ერთობის პლატფორმა ევროპისთვის“ როგორ აფასებთ?

- ძალიან კარგია, თუ შეიქმნება კოალიციები, პლატფორმები, სადაც მოხდება იდეების რეალიზება და სტრატეგიების განსაზღვრა, მაგრამ ამ პოლიტიკური პარტიების შესაძლებლობები არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ისინი მოუგებენ ხელისუფლებას არჩევნებს. ჩემი დაკვირვებით, პრეზიდენტთან აფილირებული ჯგუფები დაახლოებით ათი პროცენტის ფარგლებში შეძლებენ არჩევნებში შედეგის ჩვენებას.

- რა ხდება დღეს ოპოზიციურ ფლანგზე?

- ოპოზიციურ ფლანგს აზარალებს განცხადებები და ქმედებები. მაგალითად, „ნაცმოძრაობაში“ განვითარებული მოვლენები, კრიზისი. ასევე, სხვა ოპოზიციურ პარტიებს თუ დავაკვირდებით, არაჩანსადი მდგომარეობა - იგივე საარჩევნო სიები, ადამიანური ფაქტორი, ყოფილები (ნიკა მელიას გუნდს ვგულისხმობ), რომლებსაც გადაჭარბებული მოლოდინი აქვთ. მსგავსი მოლოდინები ძალიან ცუდად მოქმედებს სამომავლო შედეგებზე. ეს დაქსაქსელობა, არასწორი თემების წინა პლანზე წაშლივა არ მოქმედებს დადებითად ოპოზიციისთვის. გავიხსენოთ მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერები, როგორებიც იყვნენ გრიგოლ ვაშაძე და დავით ბაქრაძე, საზოგადოებას უკვე დაავიწყდა, ისინი ქართულ პოლიტიკაში აღარ არიან, პარტიაში ახალი სახეები მოვიდნენ, თუმცა ამ პარტიების („ნაცმოძრაობა“, „ევროპული საქართველო“) რეიტინგი ვერ ამდლდა, უფრო დაზარალებული.

- მმართველი გუნდის წევრები აცხადებენ, რომ „სტრატეგია აღმაშენებლის“ და „ნაცმოძრაობის“ ტანდემს არჩევნებში ფინალური ხედვა წააღებს.

- სავარაუდოდ, „სტრატეგია აღმაშენებლის“ ცალკე გაუძლიერებოდა საარჩევნო ბარიერის გადალახვა და როგორც ცნობილია, ამ პარტიამ „ნაცმოძრაობასთან“ ახალი პლატფორმა შექმნა. საერთოდ, არჩევნების პროგნოზირება არასახარბიელო რამ არის, თუმცა მიმაჩნია, რომ შემოაღნიშნული პლატფორმა მთავარი ოპოზიციის სტატუსისთვის იბრძოლებს. რა შედეგს დადებს ეს გაერთიანება არჩევნებში, ამას მომავალი დაგვანახებს.

- ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ პრობლემები არამართო ხელისუფლებას, ოპოზიციასაც აქვს, რაც გამოიწვია „ნაცმოძრაობაში“ განვითარებული მოვლენებით...

- რა თქმა უნდა, პრობლემები არა მხოლოდ სახელისუფლო შტოში, არამედ მთავარ ოპოზიციურ პარტიაშიც არის. ამას ადასტურებს პრეზიდენტ სააკაშვილის საკითხი, ასევე „ნაცმოძრაობის“ ცალკეული ლიდერების ამბიციები. როგორც აღვნიშნე, ნიკა მელიას გუნდმა დატოვა „ნაცმოძრაობა“ და ახალი პარტიის შექმნას აპირებს. უნდა ითქვას, რომ მოკლემეტრეაინა ქმედებებმა ვერ შექმნა ის სურათი, რასაც ელოდნენ ოპოზიციისთვის. თუ დავაკვირდებით, რუსოფილის იარაღი (ანუ ხელისუფლების მიმართ წაყენებულმა ამ ბრალდება) ისე ვერ იმუშავა ოპოზიციის სასარგებლოდ, რის იმედოვნებდა. აი, ეს მოლოდინი ჰქონდა ოპოზიციას, მაგრამ ამან ვერ იმუშავა. ვფიქრობ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა საგარეო პოლიტიკა, ასევე ეკონომიკური საკითხებში ხელისუფლების კრიტიკა და

რჩევების მიცემა, ოპოზიციის სამოქმედო არეალში უნდა იყოს, ხსენებულ საკითხებზე უნდა მოახდინოს კონცენტრირება, მოსახლეობას გასაგებ ენაზე ესაუბროს და არა ბანალურ თემაზე ამხეილებდეს ყურადღებას.

- ძირითადი ბრძოლა რომელ პარტიებს შორის წარმართება?

- უდავოდ, მთავარი ბრძოლა „ქართულ ოცნებას“, „საქართველოსთვის“ და „ნაცმოძრაობას“ შორის იქნება. ასევე, პარლამენტში მოხვედრის კარგი შანსი აქვს პარტიას „ლელო საქართველოსთვის“, რომელმაც, არაა გამოიციხული, შექმნას ახალი პლატფორმა. გარდა ამისა, ჩამოყალიბდება სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფი, რომლებიც შეეცდებიან, რომ არჩევნებზე მოახდინონ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზება.

- რამდენად აგრესიული წინასაარჩევნო პერიოდი გველოდება?

- ვისურვებდი, საარჩევნო პერიოდი არ იყოს აგრესიული, მაგრამ მოვლენები ისე ვითარდება, იმის ნიშნები არსებობს, რომ არჩევნები იქნება ძალიან აგრესიული, უფრო რთული და დაძაბული, ვიდრე - წინა. თუმცა მიმაჩნია, რომ როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას, მართებს გარკვეული პასუხისმგებლობა, რადგან ქვეყნის დემოკრატიის, ევროკავშირში ჩვენი გაერთიანების საკითხები სწორედ ამ არჩევნებზე დამოკიდებულია. აქედან გამომდინარე, როგორც თქმულა, ნაბიჯს წყალს ბავში არ უნდა გადავყაროთ, ანუ მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვიქცოდნენ საარჩევნო პროცესს, კერძოდ, იხელმძღვანელონ არსებული კანონმდებლობით. ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვისაც.

- რამდენად მნიშვნელოვანია ოქტომბრის არჩევნები და მისი შედეგები საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით?

- ახლას არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ 2024 წლის არჩევნები უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის, ანუ ჩვენი ქვეყნის სამომავლო ინტეგრაცია ევროპაში არის ამ არჩევნებზე დამოკიდებული. სწორედ ამ არჩევნებმა კიდევ ერთხელ უნდა გავზარდოს საქართველოს დემოკრატიის, სუვერენიტეტის სტანდარტი. ჩვენ კარებთან ვდგავართ ისეთ ორგანიზაციაში გასაერთიანებლად, როგორცაა ევროკავშირი. ეს მოცემულობა კარგად უნდა იყოს გათავისებებული. ასევე, ჩვენს ქვეყანაში უნდა იყოს რეალიზებული დემოკრატიის და ძალაუფლების გადანაწილება.

- გვერდს ვერ ავუვლით ევროკავშირის 9 რეკომენდაციის შესრულებას...

- ევროკავშირის თითოეული რეკომენდაცია უთუოდ უნდა შესრულდეს. ხელისუფლებას მოუწევს ამ რეკომენდაციების შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული პრობლემები შეგვექმნება. თუ გვინდა, ევროკავშირის წევრი გავხდეთ, აუცილებელია ამის გაკეთება.

- დაბოლოს, ხელისუფლებამ რა უნდა იღონოს დასავლეთთან დასახლოებლად?

- ერთადერთი რამ - უბრალოდ, უნდა ეცადოს, მაქსიმალურად ყველა სფეროში იყოს სანიმუშო, რადგან როცა დადგება ევროკავშირისა და ნატოსი საქართველოს გაწევრიანების საკითხი, სხვადასხვა სახელმწიფომ ვერ დააფიქსიროს შენიშვნები, ევროატლანტიკური სტრუქტურების კარი არ და ვერ მიგვიხურონ.

რა უნდა ვისოლეთ სიფრული არჩევნების შესახებ?

მარიამ ხომბერიძე 27 48 93

სასტუმრო „მოდერნიზი“ გამართულ კონფერენციაზე, რომელიც ციფრულ არჩევნებს ეხებოდა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბიორბი პალანდარიშვილი იმყოფებოდა. შეხვედრის შემდეგ მან ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა

მისი განცხადებით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები მაღალი სტანდარტების შესაბამისად ჩატარდება და ამის თქმის საშუალებას წლების განმავლობაში საპილოტურ პროექტების განხორციელების შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი გამოცდილება იძლევა. მისივე თქმით, ამომრჩეველთა ინფორმირების, შესაძლებლობების განვითარებისა და ინსტიტუციური გა-

ძლიერების კუთხით არჩევნებამდე კიდევ გადაიდგება ნაბიჯები.

- გრძელდება საინფორმაციო კამპანიების ციკლი, რომელსაც საარჩევნო ადმინისტრაცია ელექტრონულ სერვისებთან დაკავშირებით ახორციელებს. ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელ პირებსა და ლიდერებს მივაწვდით დეტალურ ინფორმაციას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებასთან და იმ გზასთან დაკავშირებით, რაც გააიარა ტექნოლოგიურმა განვითარებამ ჩვენს ქვეყანაში. 2018 წლიდან დღემდე რვა საპილოტურ მცირემასშტაბიანი თუ ფართომასშტაბიანი პროექტი ჩატარდა, რამაც ეტაპობრივად მოგვცა შესაძლებლობა, გავითავისოთ



ნით და დავაზღვიოთ ყველა რისკი და საფრთხე, რომელიც ამ პროცესში გამოიკვეთა, მათ შორის, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, რამაც მოგვცა შესაძლებლობა, ცესკოს შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, პროცედურები, ბიზნესსაქმიანობა იყოს მაქსიმალურად დაახლოებული საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან. - განაცხადა ვიორგი კალანდარიშვილმა.

კითხვაზე - ხმის ელექტრონული დათვლისას არის თუ არა მინიშნულობები თეორიული შანსი, კალანდარიშვილმა აღნიშნა, რომ არაერთი დეზინფორმაცია გავრცელდა ტექნოლოგიებთან დაკავშირებით.



სვლილები „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონში – რას ამბობს სსრკ-ის უფლებადამცველი?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

„ქართული ოცნების“ დებულებების ავტორობითა და ინიციატივით პარლამენტში „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონპროექტი დაინიცირდა. კანონპროექტი მოიცავს რამდენიმე მიმართულებას, ასევე, შეზღუდვებსა და ვალდებულებებს

კანონის მიზანია შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი საქმიანობის ან/და ქმედებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველისთვის უსაფრთხო საარსებო გარემოს შექმნას.

კანონი განხორციელდება ნებისმიერ კატასა და ძალზე იმის მიუხედავად, ჰყავს თუ არა მიმკვლელები.

აღნიშნული კანონი ბინადარ ცხოველთა მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად მათი სავალდებულო იდენტიფიკაციარეგისტრაციის პროცედურის შემოღებას ითვალისწინებს. ასევე, მოხდება პატრონიანი ცხოველების რეგისტრაცია და პატრონები ვალდებული იქნებიან, იზრუნონ ცხოველის კეთილდღეობაზე, ჩაუტარონ აცრები. კანონის ფარგლებში მიუსაფარ ძაღლებს მასშტაბურად აღრიცხავენ. აკრძალული იქნება ცხოველებისთვის კუდისა და ყურების დაჭრა და ის პროცედურები, რაც ცხოველს დააზიანებს.

მნიშვნელოვანია, რომ „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონპროექტით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში სამზე მეტი შინაური ბინადარი ცხოველის (ძაღლი, კატა) ყოლა ბინათმესაკუთრეთა უმრავლესობის თანხმობის საფუძველზე იქნება დასაშვები.

შეზღუდვა არ ვრცელდება ცხოველზე, რომლის ასაკი 2 თვეს არ აღემატება.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში ერთდროულად სამზე მეტი, ორი თვის ან მეტი ასაკის შინაური ბინადარი ცხოველის ყოლა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის უმრავლესობის თანხმობის გარეშე გამოიწვევს მეპატრონის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.



ამასთანავე, კანონპროექტი მიზნად ისახავს შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის

რაც შეეხება პუნქტს, რომლის მიხედვითაც საერთო საცხოვრებელ კორპუსში სამზე მეტი ცხოველის ყოლა არ შეიძლება: როგორც კანონპროექტში წავიკითხე, აქ არ არის საუბარი ისეთ ცხოველებზე, რომლებსაც ქუჩიდან ან თავშესაფრიდან ავიყვანთ. ვემხრობი იმასაც, რომ შეზღუდვები არ მოქმედებს და არ იქნება არავითარი შეზღუდვა იმ ადამიანებზე, რომლებიც თავშესაფრიდან ან ქუჩიდან აიყვანენ ძაღლს. ეს ყველაფერი ნამდვილად უნდა გაკონტროლდეს

სფეროში მოქმედი სუბიექტებისათვის: ვეტერინარული დაწესებულება, თავშესაფარი, საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი, ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო), საშენი, კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება და რელიგიური - საქმიანობის სტანდარტების დადგენას.

კანონის მიხედვით, მეტროთი ან სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტით ძაღლის გადაყვანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ეკეთება ალიკაპი და საბელი, კატა უნდა იყოს სპეციალურ გადაყვანაში. ძაღლს უნდა ეკეთოს ალიკაპი მაშინაც, როდესაც ბულდოგში, პარკში ან სკვერში გადაადგილება პატრონთან ერთად.

კანონის მიხედვით, ცვლილებები ცხოველების სხვადასხვა დაწესებულებაში გადაადგილებასთან დაკავშირებითაც.

ცხოველის შეყვანა იკრძალება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აფთიაქებში, საავადმყოფოებში. ამ შემთხვევაში, ცხოველის პატრონი 50 ლარით დაჯარიმდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვესაუბრეთ ცხოველთა უფლებადამცველ თონა ყურაშუბაძეს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ამ კანონპროექტის პრეზენტაცია შედგა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა პუნქტი აუცილებლად ამოქმედდება. კანონპროექტში არის რიგი საკითხები, რომლებიც დასახვეწია, თუმცა არის საკითხებიც, რომლებსაც ვეთანხმები. დაეწვები იქიდან, რომ თუ გვინდა, ქვეყანაში მიუსაფარი ცხოველების რაოდენობა შემცირდეს, ჯერ უნდა დავიწყოთ ისეთი ცხოველებიდან, ვისაც უკვე პატრონი

ზე უკვე ჰყავს იქნება. ვეთანხმები პუნქტს გამრავლებასთან დაკავშირებულ შეზღუდვაზეც. არ არის მიზანშეწონილი უკონტროლო და არარეგისტრირებული გამრავლება ისეთი საფრთხის შემცველი ცხოველებისა, როგორებიც არიან: პიტბული და სტაფი. ეს ძაღლები გენეტიკურად არიან გამოსაკვლევი და ასეთი ჯიშების გამრავლება შეიძლება თუ არა, ესეც უნდა იყოს გამოკვლეული. რაც შეეხება პუნქტს, რომლის მიხედვითაც საერთო საცხოვრებელ კორპუსში სამზე მეტი ცხოველის ყოლა არ შეიძლება: როგორც კანონპროექტში წავიკითხე, აქ არ არის საუბარი ისეთ ცხოველებზე, რომლებსაც ქუჩიდან ან თავშესაფრიდან ავიყვანთ. ვემხრობი იმასაც, რომ შეზღუდვები არ მოქმედებს და არ იქნება არავითარი შეზღუდვა იმ ადამიანებზე, რომლებიც თავშესაფრიდან ან ქუჩიდან აიყვანენ ძაღლს. ეს ყველაფერი ნამდვილად უნდა გაკონტროლდეს. მინდა ვისაუბრო კანონპროექტის ერთ-ერთ პუნქტზე, რომელსაც ხარვეზად ვთვლი. როდესაც ქვეყანაში არ გვაქვს ელემენტარული „აუტუტები“, რომელიც უნდა იყოს ყველა დაწესებულების კედელზე, როგორ უნდა დავტესტოთ ცხოველი გარეთ, ეს პუნქტი აუცილებლად დასახვეწია და ვფიქრობ, დეკორატიული ჯიშის ცხოველებზე ეს წესი არ უნდა ვავრცელდეს, ანუ როდესაც

ჰყავს. ამ კანონპროექტს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, თუმცა არ მესმის, რატომ. ვითხოვდით, ცხოველების გამრავლებაზე სავალდებულო დანიშნავს. ეს შესულია აღნიშნულ კანონპროექტში, რასაც ნამდვილად მივესალმები და აუცილებელიც იყო. რეგისტრაციის შემდეგ ნაკლებად იქნება ცხოველების გამოგდების საშიშროება, რადგან ამა-

საუბარი გვაქვს მინი ჯიშის ძაღლებზე, როგორებიც არიან: ჩიხუახუა, მალტეზი, ჯუჯი პუდელი, რომლებიც იწონიან დაახლოებით ორ კილოგრამს, რატომ უნდა ქმნიდეს დისკომფორტს ხელში აყვანილი ასეთი პატარა ცხოველები? კანონპროექტი დასახვეწია და სახელმწიფოც მზად არის ამისთვის, რასაც ნამდვილად მივესალმები.

10 ყალბი ინფორმაცია – კანონპროექტის მიღებამდე

პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს. უწყება ათ ყალბ ნარატივზე ამახვილებს ყურადღებას. მათი თქმით, ვრცელდება დეზინფორმაცია, რაც მიზნად ისახავს კანონის მიღებისთვის ხელის შეშლას

პირველი - ამბობენ, თითქოს კანონპროექტით გათვალისწინებული ცხოველების მასობრივი ევანაზია, მათ შორის, მეპატრონისა და მიმკვლელების მიერ ცხოველის მიტოვების შემთხვევაში და რომ ამ მეთოდებით 2 წელში აღარ იქნება ქუჩაში უპატრონო ცხოველი. ასევე, თითქოს, იმ შემთხვევაში, თუ სამზე მეტი ძაღლი გვეყვლება საკუთრებაში ან თუ მიკვლელების აკრძალულ ადგილებში ვერ მივიკედლებთ, ეს ძაღლები რეგისტრაციის გარეშე დარჩებიან, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, დააპატიმროს და შემდეგ დააძინოს უპატრონო ცხოველები. სინამდვილეში, ეს არის ყველაზე ბინძური და ბოროტი ცილისწამება და მიზანმიმართულად გავრცელებული დეზინფორმაცია, კანონპროექტში მსგავსი არაფერი წერია.

კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებს 2023 წლის მარტიდან და, ასევე, კანონპროექტით ევანაზიის შემთხვევები პირდაპირ უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებს, მათ შორის, ცოფს (რომელსაც 100%-იანი ლეტალობა აქვს), დადგენილია ვეტერინარის სპეციალური დასკვნის სავალდებულობა, დადგენილია სხვადასხვა შემთხვევებისთვის ცხოველზე დაკვირვების

10-დღიანი, 45-დღიანი და 6-თვიანი ვადები. აღნიშნული რეგულაცია ვეტერინარების, ცხოველთა დამცველებისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავებულია და დადგენილია მთავრობის დადგენილებით, რომელიც ბევრად ჰუმანურია, ვიდრე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი წესები.

მეორე - ამბობენ, თითქოს კანონპროექტით დაუშვებელია უპატრონო ცხოველის შეყვანა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე, სასურსათო მაღაზიაში, აფთიაქში, საავადმყოფოში, საბავშვო და სპორტულ მოედანზე, ასევე, კვების ობიექტებში.

სინამდვილეში, ეს არის მავნებელი დეზინფორმაცია, რომელიც მიმართულია ცხოველთა მოყვარულთა ემოციებზე მანიპულირებისათვის. კანონპროექტით აღნიშნული შეზღუდვა არასდროს ყოფილა გათვალისწინებული. მოქმედი კანონმდებლობით, წლებია, აკრძალულია და რვა ლარით ისჯება პატრონიანი ცხოველის შეყვანა კვების ობიექტებში, სასურსათო მაღაზიაში და აფთიაქებში. კანონპროექტით უფრო მოქნილად არის ჩამოყალიბებული მოქმედი აკრძალვა. კერძოდ, შესაძლებელი იქნება მცირე და დეკორატიული ცხოველის შეყვანა ხელში აყვანით, ჩანთით ან გადაყვანით (მეპატრონის სურვილის შესაბამისად) ყველგან, გარდა იმ საზოგადოებრივი დაწესებულებებისა, რომლებიც თავად აკრძალავენ ცხოველის შეყვანას. გარკვე-

ული აკრძალვა იმოქმედებს მხოლოდ პატრონიანი დიდი ძაღლების შემთხვევაში.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, სასურსათო მაღაზიების, აფთიაქების, საავადმყოფოების, კვების ობიექტების შიდა ტერიტორიებზე, საბავშვო და სპორტულ მოედანზე, ასევე, იმ საზოგადოებრივ დაწესებულებებში, რომელთა მეპატრონეებიც თავად აკრძალავენ პატრონიანი დიდი ზომის ძაღლის შეყვანას - ამ შემთხვევაში, ისინი ვალდებული იქნებიან, საგანგებოდ განათავსონ ცხოველის მისამდელი.

მესამე - ამბობენ, თითქოს მიკვლევა დაუშვებელია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიებზე, ავტოსადგურებსა და სასაფლაოს ტერიტორიებზე, აგრეთვე, თითქოს ამ ტერიტორიებზე მიკვლეული ძაღლის გავლის ან შესვლის გამო მიმკვლელები 300 ლარით დაჯარიმდებიან.

სინამდვილეში, მიკვლევა დაუშვებელი იქნება მხოლოდ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების შენობებში (ანუ შიდა სივრცეში), ასევე, საბავშვო და სპორტული მოედნების, მეტროპოლიტენისა და ბაზრის ტერიტორიაზე. ამასთან, მიკვლევის ადგილების დარღვევისთვის არასდროს ყოფილა გათვალისწინებული ჯარიმა კანონპროექტით.



მეოთხე - ამბობენ, თითქოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში კატის ან დეკორატიული ჯიშის მცირე ზომის ძაღლის აყვანა შესაძლებელია მხოლოდ ალიკაპის და საბელოს ერთდროულად გამოყენებით.

სინამდვილეში, ეს შეზღუდვა მოქმედებს უკვე წლებია, სანქცია განსაზღვრულია რვა ლარის ოდენობით. კანონპროექტით უფრო მოქნილად არის ჩამოყალიბებული მოქმედი აკრძალვა. კერძოდ, შესაძლებელი იქნება მცირე და დეკორატიული ცხოველის გადაყვანა ხელში აყვანით, ჩანთით, გადაყვანით ან საბელო (მეპატრონის სურვილის შესაბამისად), ხოლო დიდი ძაღლის შემთხვევაში აუცილებელი იქნება მოკლე საბელოს გამოყენება.

მეხუთე - ამბობენ, თითქოს კანონის მიღებისთანავე აკრძალვა სამზე მეტი ცხოველის ყოლა საკუთრებაში, ხოლო სამზე მეტი ძაღლის ყოლის შემთხვევაში სავალდებულო იქნება მეზობლების უმრავლესობის თანხმობა.



„ქართულ ჭიდაობას, როგორც ქართულ სეკსას, უკვე მთელი მსოფლიო უკრავს ტაშს“

ოთარ ცინცაძე 599 85 21 14

ამ დღეში აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენლები ირანში იმყოფებოდნენ. ამ ვიზიტის მნიშვნელობას და ფედერაციის წარმომადგენელ საქმიანობაზე აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **ჯემალ წულუპშიძე** გვესაუბრა

- ბატონო ჯემალ, რატომ აირჩიეთ ირანის რესპუბლიკა და არა რომელიმე სხვა ქვეყანა?

- უპირველესად, მაღლობა გავით „აჭარას“, მის შემოქმედებით კოლექტივს აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების სისტემატური და ობიექტური გაშუქებისათვის, სპორტის ამ გამორჩეული, ეროვნული სახეობის ქომაგობისა და პოპულარიზაციისათვის! აქვე მინდა, გაზეთის საშუალებით მივუთხრო საქართველოს მიუხედავად „დიდი ტედის“ - ლეგენდარული ლეგან თედიაშვილის გარდაცვალების გამო. უფალმა დაუშვა ირანის ზეციური სასუფეველი ბატონი ლეგანის სულს. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ირანის ისლამური რესპუბლიკა არის ის ქვეყანა, რომლის სპორტულ ორგანიზაციებთან, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, მჭიდრო პროფესიული, კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობები გვაკავშირებს. ირანი არის ქვეყანა, სადაც ყოველწლიურად, 2-3-ჯერ გვიწევს სხვადასხვა სპორტულ ფორუმზე გამგზავრება და აქტიური მონაწილეობა.

- ახლანდელი ვასლა ამ ქვეყანაში რა მიზანს ემსახურება?

- ჯერ კიდევ მიმდინარე წლის იანვრის შუა რიცხვებში, ირანის ისლამური რესპუბლიკის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ოლიმპიური და პარალიმპიური კომიტეტებისა და ზურხანეს და ფაშლაგანური სპორტის ფედერაციის მიწვევით გახლდით ქალაქ თეირანში, სადაც 45 ქვეყნის სპორტის ეროვნული, ტრადიციული საჭიდაო



მა“ გარემოებებმა, კერძოდ, პირველივე დღეს სამი სპორტსმენის გრიბის ვირუსით ინფიცირებამ, სერიოზული დაღი დასავა მათ შემდგომ ასპარეზობას და საბოლოო სპორტულ შედეგს. ამის მიუხედავად, 60 კგ წონით კატეგორიაში ქედელმა ფალაგანმა - მარად გორგაძემ - ვერცხლის, ხოლო დავით ფარტენაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს... მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ მივულოცო ბიჭებს გამარჯვება, შემდგომი სპორტული წარმატებები ვუსურვო მათ, დედებაც მონაწილე ყველა სპორტსმენს და წარმომადგენელს მაღლობა მინდა გადავუხადო საინტერესო მოგზაურობის და ჩემპიონატის დროს გამოჩენილი ყურადღების, თავაზიანობის, სოლიდარობისა და ქართული ტრადიციების უპირობო დაცვისათვის!

წელს სპორტული წლის დამაგვირგვინებელი იქნება საერთაშორისო ღია აბსოლუტური ფალაგანობა ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე უმასპინძლებს. წინასწარი ინფორმაციით, დედაჭიდაობის ამ მასშტაბურ საერთაშორისო ასპარეზობაში ოცდაათამდე ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას

სახეობების ფედერაციების პირველ პირებთან ერთად, მონაწილეობა მივიღე გენერალური ასამბლეის მუშაობაში. სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვან ფორუმზე გადაწყდა ჩვენი მიწვევა ქალაქ თეირანში, 6-11 თებერვალს დაგეგმილ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე დიდებში (ფაშლაგანის ჭიდაობა) - ფაქრის თასი, რომელშიც სულ 13 ქვეყნის 100-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა...

- რამდენადაც ვიცით, ქართველმა სპორტსმენებმა საკმაოდ წარმატებულად იასპარეზეს, საპრიზო ადგილებიც მოვიპოვეთ, თუმცა უფრო მეტ წარმატებას მივალწევდით, რომ არა „არასპორტული“ გარემოებები...

- მართალი ბრძანდებით. პირველ რიგში, გეტყვით, რომ აღნიშნული ტურნირი, რომელიც ირანის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პატრონაჟით, ირანის ზურხანესა და ფაშლაგანური ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებითა და ქალაქ თეირანის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა, გამოირჩეოდა მაღალორგანიზებულიობით, გულითადი სტუმართმოყვარეობით, პატივისცემით და საკმაოდ დიდი საპრიზო ფონდით. ტურნირის მონაწილე 13 ქვეყნიდან, ირანის გარდა, მხოლოდ საქართველო იყო მრავალრიცხოვანი დელეგაციით (11 სპორტსმენი, 5 თანმხლები) წარმოდგენილი, რაც, უდავოდ, ხაზს უსვამს ჩვენი მასპინძლების მეგობრულ და საქმიან დამოკიდებულებას ზოგადად საქართველოს, ქართველი სპორტსმენებისა და ჩვენი ფედერაციის მიმართ. ირანი ჭიდაობის ქვეყანაა, სადაც ჭიდაობის ფენომენი განსაკუთრებულად დაფასებული და დაფინანსებულია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სპორტსმენებისთვის ტურნირის საჭიდაო დისციპლინა - ირანის ტრადიციული, ეროვნული სახეობა - ფაშლაგანის ჭიდაობა - უცხო იყო, ხოლო ერთდღიანი ტექნიკური სემინარი ვერაფერი ბედენა მის სრულად შესასწავლად და ილეთების ასათვისებლად, ჩვენმა ბიჭებმა მაინც წარმატებულად იასპარეზეს, სხვადასხვა წონით კატეგორიაში ფინალური საგზურებიც აიღეს, მაგრამ თქვენს ტერმინს დაგუბრუნდები „არასპორტულ

- მიკთხველისთვის საინტერესო იქნება, გვეთხროთ ირანის ტრადიციულ, ეროვნულ საჭიდაო სახეობებზე...

- დიდი სიამოვნებით. ირანი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ზოგადად, ჭიდაობის ფენომენის დიდი თავყვანისმცემელი და დამფასებელია. შედეგად, აქ დიდი და პატარა ჭიდაობის (როგორც ჩვენთან - ქართულ ჭიდაობას). მათგან გამოვარჩევ სამ სახეობას. ფაშლაგანის ჭიდაობაზე, რომელშიც საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა, გეტყვით, რომ ძირითადად, თავისუფალი სტილით ჭიდაობის წესები და ილეთებია გამოყენებული (როგორც ძიუდოში წაიღო ქართული ჭიდაობის წესების და ილეთების უმეტესობა), მხოლოდ ოც პროცენტამდეა მათი ეროვნული წესებით, ილეთებით და ჩაცმულობით განსხვავებული. ჩაცმულობა - ქვემოთ შარვალი (მუხლაბადე), ზემოთ კი ე. წ. ფინკა და ქემერი (ქამარი). სწორედ, ამ შარვლით და ქემერით კეთდება ძირითადი საჭიდაო ილეთები... რაც შეეხება ირანულ ბაჩუხას (ჩოხიან) ჭიდაობას, მინდა გითხრა, რომ ჩოხით დაწყებული, საჭიდაო ილეთებით დამთავრებული, ძირითადად, ქართული ჭიდაობის მსგავსია, თუმცა არის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც, რომლის კონკრეტულად შორის წავიყვანო... მეტად მნიშვნელოვანია ფაშლაგანის და ზურხანეს რიტუალები - მძლეოსნობის ტრადიციული სისტემა და საბრძოლო ხელოვნების ფორმა ირანში (სპარსეთი) თავდაპირველად გამოყენებულა მეომრების მოსამზადებლად. ის აერთიანებს საბრძოლო ხელოვნებას, კალისტენიკას, ძალისმიერ ვარჯიშს და მუსიკას. ვარჯიში მიმდინარეობს გუმბათოვან სტრუქტურაში, რომელსაც ზურხანე ჰქვია, სავარჯიშო სესიები, ძირითადად, შედგება რიტუალური ტანვარჯიშის მობრძოებისგან და კულმინაციისგან, საბრძოლო პრაქტიკის ბირთვით, რომელსაც კომპი ფაშლაგანი ეწოდება. ამ დაწესებულებების თავდაპირველი მიზანი იყო კაცების მეომრად გაწვრთნა და მათში ეროვნული სიამაყის ჩანერგვა. ზურხანეს სავარჯიშო სისტემა არის ის, რაც ახლა ცნობილია როგორც ვარჯიშე ბასტიანი და ჭიდაობის მის განსაკუთრებულ

ფორმას ეწოდა კომპი ფაშლაგანი, პართიული სიტყვის - პაშლეგანის მიხედვით, რაც გმირს ნიშნავს. რაც შეეხება სხვა სახეობებს, როგორც ჩვენთან ქართული კუთხური ჭიდაობის სახეობები: იმერული - საბეჭურიდან ჭიდაობა, სვანური ლიბრეგილი - ქამარში ჩავლებით ჭიდაობა, სვანური ლიბრეგვალ, ხევსურული მოშ და მოშ და მუქარისა, რაჭული ლოჭური, მეგრული რკინება, გურული ჭედობა, ქიზიყური მკლავებში, აჭარული მატეკობა, მთიულური ილილორა და ასე შემდეგ, ირანშიც ვხვდებით რიგ საჭიდაო სახეობებს, რომლებიც დამახასიათებელია სხვადასხვა პროვინციისა და კუთხისათვის...

- როდესაც უნდა გვლოდნეთ ირანიდან სტუმრებს საქართველოში, კერძოდ, აჭარაში?

- ირანიდან ჩვენი კოლეგებს მოგიწვევთ მიმდინარე წელს, ბათუმში დაგეგმილ ორ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისთვის, სადაც ისინი ჩაიკვამენ ქართულ საჭიდაო ჩოხას და ეზიარებინან მის მაღლს.

- ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით ქართული ჭიდაობა მაღალ დონეზეა აყვანილი. თებერვალი იწურება და ჯერჯერობით დარბაზები არ აგისმარებიათ. როდესაც უნდა გვლოდნეთ ასპარეზობების დაწყებას?

- მართალი ბრძანდებით, საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის, მისი გუნდის და პირადად, პრეზიდენტ ბატონ გელა ბერუაშვილის დამსახურებაა ის, რომ ქართული ჭიდაობის დიდება, მასშტაბი, ცნობადობა და პოპულარიზაცია გასცა რეგიონის და ქვეყნის ფარგლებს და როგორც ამ რამდენიმე წლის წინ თქვენთან ინტერვიუში გავაუღერე, „...სულ მალე, როგორც ქართულ ცეკვას, ქართულ ჭიდაობასაც მთელი მსოფლიო დაუტრავს ტაშს!“ - ეს სურვილი რეალობად იქცა, მართლაც, ქართულ ჭიდაობას, როგორც ქართულ ცეკვას, უკვე მთელი მსოფლიო უტრავს ტაშს. რაც შეეხება აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის 2024

შორისო ასპარეზობაში ოცდაათამდე ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქართული ჭიდაობის ეროვნული და აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციების სახელით, უდიდესი მაღლობა გადავუხადო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, პირადად მინისტრს, ქალბატონ მაია ხაჯიშვილს და აჭარის სპორტის დეპარტამენტს უფროსს, ქალბატონ ირმა ნიჟარაძეს საერთაშორისო ღია აბსოლუტური ფალაგანობის ფინანსური მხარდაჭერისა და ქმედითი დახმარებისთვის.

- უკვე ორსამუდრიდან დაწყებული დარჩიციები-დიდაჭარები, ქართული ჭიდაობის სექციები მოქმედებს, შეჯიბრებები იმართება. წელსაც ხომ არ უნდა გვლოდნეთ სექციების გახსნას?

- აჭარის მთავარ და ბარში ქართული ჩოხის მზიანობა, ახალგაზრდების მასობრივი ჩაბმა ეროვნული საუფრის - ქართული ჭიდაობის სექციებში ჩვენი უპირველესი გამოწვევა და „აქილევსის ქუსლია“. შესაბამისად, მუხლჩაუხრებლად ვშრომობთ, რომ სასურველ შედეგებამდე მივიღეთ. მისასალმებელია, რომ შუახევში უკვე სამი სექცია მოქმედებს, მეოთხე - სოფელ მარჯულთაში. გარკვეული ობიექტური წინააღმდეგობის მიუხედავად, ფეხს იკიდებს და იმედი მაქვს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, წლის ბოლომდე ამ სოფელშიც გამართული სექცია გვექნება, რის იმედსაც მწვრთნელ ედვარდ ნაკაიძის შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა და აქაური ახალბედა ფალაგანების მზაობა გვაძლევს. ხელგაწაურის სასპორტო სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთობლივი აქტიური შრომის შედეგად, ვიმედოვნებთ, ამ წლის ბოლომდე გვექნება ერთიანი ჭიდაობის ჯგუფები მუნიციპალიტეტის სოფლებში - მახოსა და ჩხუტუნეთში. იმედი მაქვს, ერთობლივი შრომა სასურველი შედეგით დასრულდება.

- დიდი საქმეები თანადგომისა და კეთილი დამოკიდებულების გარეშე ვერ გაკეთდება. სპონსორებისა და მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი სტრუქტურების ხელმძღვანელთა თანადგომა როგორია?

- მივლმა საქართველომ იცის, რომ აჭარა არის რეგიონი, სადაც აჭარის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების უპირობო თანადგომით, სპორტი განსაკუთრებულად დაფასებული, მოტივირებული და დაფინანსებულია. დღემდე ვერ ვხსენებ ფედერაციის ვერცერთ წინადადებას, შეთავაზებას თუ იდეას, რომელიც აჭარის სპორტის დეპარტამენტის, მუნიციპალიტეტების მერიების, მუნიციპალური სამსახურებისა და სასპორტო სკოლების თუ ცენტრების მხრიდან არ იყოს მხარდაჭერილი და რომ იტყვიან, მწვანე შუქანებულნი. ამასთან, ფედერაციას მუდმივად ჰყავს როგორც კერძო, ისე ბიზნეს-სტრუქტურების, მუნიციპალიტეტების მხრიდან თანადგომა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია.

- ამბობენ: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგი მუდამ მტრია“... ხშირად თითოიდან გამოწვევით, არაფრისმიქმელი, გაუმართლებელი ბრალდებებით თავს გვსწამან. ასეთ გამომწვევებზე როგორ რეაგირებთ?

- მართალი ბრძანდებით, ვუპასუხო ეს სიბრძნე, სამწუხაროდ, ბევრჯერ გვახსენებს თავს... არიან პატარა კაცუნები, ხელმოცარული, არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი, ღირსეული რომ მოგაფიქროს შექმნეს და მიზანმიმართულად, მზაკრულად, შენიღბული მეთოდებით ცდილობენ, როგორმე დააკნინონ, ჩირქი მოსცხონ, ლაფში ამოსვარონ ის ნაღვავი, რაც აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის მესვეურთა დღემდე უკეთებათ... ასეთები გულწრფელად მეცდივებიან. რაც შეეხება რეაგირებას, მათ ყოველთვის დიდი შოთა ნიშნინიძის სიტყვებით ვპასუხობ:

„თეთრი ძვით ხარ ნაკერი, ბრიყვო, ნეკში ვინახავ ჭკუას შენოდენს, ეშმაკი უნდა ისეთი იყო, რომ ეშმაკობა არ სჭირდებოდეს“...

- ქართული ჭიდაობა სოფლიდან იღებს სათავეს. თუ დაასახელებდით სოფლებს, სადაც სპორტის ამ სახეობას მრავალი მიმდევარი და გულშემატკივარი გამოუჩნდა?



„ვისურვებდი უფრო გამართულ და მტკიცე სამედიცინო სტრუქტურას ჩვენს მუნიციპალიტეტში“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შობრა ჯუშუშაძე აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის უახვევის განყოფილების უფროსია. იგი მინდობილ საქმეს წარმატებით უძღვება

- ზავსებობიდანვე ავირჩიე ექიმის პროფესია. მიყვარდა მადლის კეთება, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. სასურველ მიზნამდე გარკვეული ეტაპები გავიარე. სანამ ექიმი ვაგებდებოდი - ჯერ სამედიცინო სასწავლებელი წარჩინებით დავათავაძირე, რის შემდეგაც, 1985 წელს, მუშაობა დავიწყე მშობლიურ სოფელ შუბნის საუბნო საავადმყოფოში მედიკოსად. აქ 3 წელი მთელი გულით ვიმუშავე. არაერთხელ უთქვამს მაშინდელ უბნის ექიმ ბეჟან ბერიძეს (ამჟამად ბათუმში სისხლის გადასხმის სადგურის დირექტორია) - ისე გიყვარს ეს საქმე, აუცილებლად ექიმი უნდა გახდეთ. ჩემი სურვილიც ეს იყო. მართლაც, 1989 წლის დეკემბერში ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე. იმ დროისათვის პირველი ქალი ვიყავი ჩვენს ხეობაში, რომელმაც ეს პროფესია აირჩია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი კურსი დავსრულე და ჩავაბარე დასასრულებელი გამოცდები. პირველ კურსზე სწავლა გავაგრძელე თბილისის სახელმწიფო აკადემიაში, სადაც ვისწავლე 6 წელი. იყო სამოქალაქო ომი, ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, გაჭირვება, პურის რიგები, უშუქობა, უგაზობა, მაგრამ არასდროს გამჩინია სწავლის შეწყვეტის სურვილი, მივდიოდი წინ, რათა საფუძვლიანი ცოდნით დავბუნებოდი მშობლიურ კუთხეს.

- ვის უზღოდათ, რომ დასახულ მიზანს მიღწევით?

- ჩემს ბატონობასა და ყურადღებაში დიდი წვლილი მძას - თემურის მიუძღვის. არაფერს მაკლებდა, რათა შევფერხებოდი არ მქონდა სწავლაში, ჩემი სპონსორი იყო. მადლობა ჩემს მეგობრებს - დავით ცეცხლაძეს, ავთანდილ ფუტყარაძეს, ბადრი მამულაძეს, ზურაბ აბაშიძეს, კიდევ მათ, ვინც იმ პერიოდში აჭარიდან თბილისში სწავლობდნენ. ერთ გოგონას საკუთარ დასავით მეფერხებოდნენ. ჩვენ ერთად გადავიტანეთ რთული, მაგრამ დაუფიქრებელი და ტყბილი 6 წელიწადი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გავიარე ინტერნატურა პედაგოგიის მიმართულებით ბათუმის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

- პროფესიული საქმიანობის პირველ წლებს როგორ გაისვენებდით?

- 1998 წლის აპრილიდან შუბნის საუბნო საავადმყოფოს დირექტორად დავინიშნე, სადაც ლიცენზია თერაპიასა და პედატრიკაში ავიღე. შუბანში ჩემი მუშაობა აჭარის ჯანმრთელობის დაცვის იმდროინდელი მინისტრის აკაკი ბერიძის მხარდაჭერამ განაპირობა. იმ პერიოდში 8 წელი ვიმუშავე. არაა ადვილი, ახალკურსდამთავრებული ექიმი შეეჭიდო ამ ურთულეს საქმიანობას, მე ეს გულით ვაკეთე, მყავდა სხვადასხვა დიაგნოზის პაციენტები, გავხსენი დღის სტაციონარი, მისვლიდან 1 წელი უსასყიდლოდ და ხელფასის გარეშე ვმუშაობდი საკმაოდ გამოცდილ მედპერსონალთან ერთად. ზაფხულობით, ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, მემთხოვრებლაც ვემსახურებოდი, ჩირაფსა და მეზობლად მდებარე კვესაურის მთაში - ქედის რაიონიდან ამოსულელებსაც. მინდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ ქირურგის გამოძახება მიწვევდა რაიონიდან, დანარჩენს თავად ვუძღვებოდი. ზამთარში ფეხით ვამივლია 7-8 კილომეტრი. მასხოვს, კობალთა და წელათში პაციენტებს ბინაზე ვემსახურებოდი, მანიპულაციებს ბინაზე ვაკეთებდი, ვინაიდან არ შეეძლოთ საავადმყოფოში მოსვლა. იყო ინფარქტის, ინსულტის, ტრავმების შემთხვევები. მოსახლეობა ტყეში ამზადებს სახლის ასაშენებელ მასალას, შეშას... ზამთარი იმ დროისათვის სასტიკი და სუსხიანი იყო. 2-3 მეტრი თოვლიც მოდიოდა... ყოველდღე ფეხით მიწვევდა სამედიცინო დაწესებულებამდე მისვლა, 4 კილომეტრს გავდიოდი სახლიდან სამსახურამდე დარსა თუ ავღარში. მამა და ძმა დამიდგინენ გვერდით და ერთად ვემსახურებ ჩვენს მოსახლეობას. წლები დავყავი შუბანში, ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მთიანი სოფლის მოსახლეობას ვემსახურე, პირადი წვლილი შევიტანე თანაოფელელების ჯანმრთელობის დაცვაში. 2005 წლის აგვისტოდან გადამიწყვიანეს შუახვევის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორად. 2006 წლის სექტემბრიდან დღემდე ვარ აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უახვევის განყოფილების უფროსი. აგრეთვე ვმუშაობ „ევექსის“ შუახვევის კლინიკაში, 2023 წლის 1 ნოემბრიდან შეთავსებით და-ვინიშნე უჩამბის პირველი უბნის ამბულატორიის ექიმად. მინდა ვთხოვარ, რომ კადრების დეფიციტის გამო გადავწყვიტე, უჩამბის უბანი შემეთავსებინა. მრავალი პროგრამა აქვს როგორც აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ასევე შუახვევის მუნიციპალიტეტს სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით, ცალკე - აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურს. ვცდილობ და გამოვლის, მოსახლეობას კომბინირებულად და მიზნობრივად მივწოდო ინფორმაცია, რათა გამოიყენონ ჯანმრთელობის დასაცავად ის სერვისები, რაც არის წარმოდგენილი.



- არ გვიტოვებთ თანამდებობას და რიგითი ექიმის მოვალეობების შეთავსება?

- თამამად ვიტყვი, რომ კარგად ვუთავსებ. აქტიურად ვარ ჩართული მოსახლეობის თითოეული პროგრამის განხორციელებაში და ეს ხელს არ მიშლის ჩემს საქმიანობაში.

- თუ გაისვენებთ კოვიდ-19-ის პერიოდს?

- 2019-2022 წლებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფროსი ვიყავი. მასხოვს, რა დღეები გამოვიარე ჩვენს და ქვეყანაში კოვიდპანდემიის დროს. უფრო მეტი ძალისხმევით, შემართებით ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში, ვიყავი შტაბის წევრი და ვაწვდიდი ყოველდღიურ ინფორმაციას შტაბს, მერაბს, შსს-ს შუახვევის სამმართველოს დადასტურებული შემთხვევების შესახებ, ტარდებოდა ტესტირებები როგორც კონტაქტირებულების ოჯახებში, ისე ყველა სკოლასა და ბაღში, აქტიურ ეპიდემიოლოგ-ველობას ვაწარმოებდით. ყველა ცხელ წერტილში მე უნდა ვავსულიყავი. დიდი პანიკა და შიში იყო პანდემიის დროს, თუმცა მივცევიდი სამინისტროს ბრძანებებს, რომ დროულად გავეცარებინა ზომები. პარალელურად, შუახვევის კლინიკაში კოვიდგანყოფილება გაიხსნა, სადაც მორიგე ექიმადაც ვიმუშავე. მინდა ვთხოვარ, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში კოვიდით სიკვდილიანობის ძალიან დაბალი პროცენტული მაჩვენებელი იყო, ისიც დიდ კლინიკებში. დღე და დღე ზარი არ წყდებოდა, ამბულატორიულ რეჟიმშიც ვმუშაობდი, კოვიდაცრების ექიმიც ვიყავი. შუახვევის მუნიციპალიტეტში 7900 პაციენტი აიცრა. მოსახლეობას ბინაზე ვაძლევდი რეკომენდაციებს, როგორ უნდა დაეცვათ ობოლავის რეჟიმში. კოვიდპანდემია შესუსტდა, ვირუსმა მუტაცია განიცადა და დღეს, როგორც სხვა ვირუსული ინფექციები, ისე ცირკულირებს, სეზონურად მოქმედებს.

- კვალიფიციური ექიმების ნაკლებობის

დასაძლევად რა კეთდება?

- კვალიფიციური ექიმები ჩვენს მუნიციპალიტეტში თითოეულ ჩამოსათვლელი, სპეციალისტების ნაკლებობა კლინიკაში, ესეც ჩვენს დატვირთვაზე მოქმედებს. 12 უბნის ექიმი და 1 კლინიკა მუნიციპალიტეტში, 1 სასწრაფო დახმარების სამსახური - 2 ბრიგადით. ეს არის ის სამედიცინო რესურსი, რომლითაც ვემსახურებით ჩვენს მოსახლეობას. ვისურვებდი უფრო გამართულ და მტკიცე სამედიცინო სტრუქტურას ჩვენს მუნიციპალიტეტში. მაწუხებს სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია, ვცდილობ, ჩემს უბანზე კვალიფიციურად მოვემსახურო თითოეულ ბენეფიციარს.

- ოჯახის ის ადგილია, სადაც დამდელი დროს შემდეგ ძალები უნდა აღიდგინო...

- კი. ჩემი მომავალი ცხოვრება ხელოვან მამაკაცს დავუკავშირე 2001 წლის 6 ოქტომბერს. მეუღლე ამჟამად შუახვევის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელია ხელოვნების მიმართულებით. მისი ეს პროფესია ზარმონიას მიქნის ჩემი დატვირთული რეჟიმის შემდეგ. მიყვარს მუსიკა და ხელოვნება, ასე რომ, მეუღლე პროფესიითაც და პიროვნული თვისებებითაც მიმსუბუქებს ყოველდღიურობას. გვყავს ერთი ქალიშვილი, 20 წლის, რომელიც ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია. პროფესია თავად აირჩია, თუმცა მომხრე არ ვიყავი. ჩემი დატვირთული რეჟიმისა და მშობლების ხელს შეეწყობოდა, რა თქმა უნდა, ფინანსურად და მორალურად. ლია გუნდაძე მონდომებულია, კარგად სწავლობს, იმედი მაქვს, კარგი ექიმი დაუბრუნდება თავის კუთხეს. ცხოვრების მთავარი გზა უკვე გავიარე. ამჟამად ვარ, რომ ზუსტად ის პროფესია ავირჩიე, რომელიც მინდოდა. დღეს თავიდან რომ ვიწყებდე ცხოვრებას, ისეც ექიმობას ავირჩევდი, აქ გხვდებოდა ჩემს თავს და სხვაგან არსად. ვარ ჩემი ოჯახის დასახლისიც, დროის სიმცირის მიუხედავად - კარგი კულინარი.

- ჯანდაცვის უწყებების მხრიდან ხელშეწყობაზე რას იტყვით?

- საქართველოსა და აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები ხელს გვიწყობენ. „მთის კანონიც“, გარკვეულწილად, ხელს უწყობს სამედიცინო სფეროს, იყოს უფრო მოტივირებული და პასუხისმგებელია დაკისრებული საქმიანობის მიმართ. შეიქმნა თემის სამედიცინო პუნქტები, რომ იქვე, სოფელში გაუწიონ პირველადი დახმარება მოსახლეობას. ეს მთლიანი სამედიცინო რეჟიმი ერთ მუშაზე შეკრული ვემსახურებით მოსახლეობას. გვაქვს ერთეული ინფექციის შემთხვევები, სეზონურად - ვირუსული ინფექციების მატება, თუმცა ვუმკლავდებით და შესაბამისად ვმოქმედებთ.

პოლიტიკურად აქტიური კვირა და გზავნილები - ბრიუსელიდან

მე-2 გვერდიდან

ჩვენ ვმუშაობთ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებისთვის, - აღნიშნა ვარჭეიძე.

ალანშინავა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგის მთავარი გზავნილი საქართველოსადმი. მისი განცხადებით, მნიშვნელოვანია, ქვეყანამ განაგრძოს და გააფართოოს შიდა რეფორმები, დაიცვას დემოკრატიული ფორმულებები. მან აღნიშნა, რომ ნატო დგას საქართველოს გვერდით და საქართველო სწორი მიმართულებით მიდის კეთილდღეობის, დემოკრატიის და ევროატლანტიკურ ოჯახში სრული გაწევრიანებისკენ.

ევროპარლამენტის პრეზიდენტი რობერტა მეცოლა აღნიშნავს, რომ ევროპარლამენტი სრულად უჭერს მხარს ქართველი ხალხის ევროპულ მისწრაფებებს და რეფორმები იქნება მთავარი, რადგან საქართველო ევროპულ გზაზე წინ მიიწევა.

ნათლად ჩანს, რომ ევროპელი ლიდერების მხრიდან პოლიტიკური გზავნილები მოდის და კიდევ უფრო გაზრდილია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ.

საინტერესოა, როგორ აფასებენ პოლიტიკოსები ირაკლი კობახიძის ვიზიტს ბრიუსელში და რა მოლოდინი აქვთ?

ილია მირბაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებებიდან“:

- ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში ბატონმა ირაკლი კობახიძემ პირველი ვიზიტი ბრიუსელში დააგემა, რასაც, თავის მხრივ, ბევრი დადებითი შეფასება მოჰყვა. მიუხედავად იმ დესტრუქციული დემარშებისა, რითაც რადიკალური ოპოზიცია და კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ ცდილობს მოსახლეობის შეცდამაში შეყვანას, ყველასთვის გასაგებია ეს მაგალითი მესიჯი ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით. მაღალი რანგის შეხვედრებისას, იკეთებოდა ევროპელი პოლიტიკოსების კეთილგანწყობა ჩვენს ქვეყნისა და პირადად პრემიერ კობახიძისადმი. ევროპის პოლიტიკურ წრეებში ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი ყოველთვის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და პრემიერის რანგში, პარტნიორობის გაღრმავების კუთხით, მოლოდინები კიდევ უფრო რეალურია. შეხვედრებზე მკაფიოდ იკითხებოდა, რომ რეგიონში საქართველო მნიშვნელოვანი პარტნიორია როგორც ევროკავშირის, ასევე ნატოსთვის. რაც შეეხება ქვეყნის სამომავლო პერსპექტივას, ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონტექსტი, რაც აღნიშნა კიდევ პრემიერმა. დღის წესრიგს ადგენს თავად ევროკავშირი. მთავარია ის გარემოება, რომ საქართველო, ყველა კანდიდატის შორის, ელდერის პოზიციაზეა ასოცირების შეთანხმებისა და სხვა ვალდებულებათა შესრულების კუთხით. ასევე, ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ ევროკავშირი ცალსახად და უპირობოდ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ბანი მამბაბიშვილი, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე:

- ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი განხორციელდა, თუმცა მხოლოდ სიტყვიერად ხაზის გასმა, რომ ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ, არანაირ გამოხატვას არ გვაძლევს, ქვიმდინარე იქიდან, რომ ოკუპანტი

ქვეყნის მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ამჟამად საქართველოში იმყოფება არა როგორც ტურისტი, არამედ ისინი აქტიურად იღებენ საქართველოს მოქალაქის სტატუსს და დაწყებული აქვთ სხვადასხვა ბიზნესი, რაშიც საქართველოს მთავრობა ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს და არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს მათთვის გარკვეული შეზღუდვების დასაწესებლად. სავარაუდოდ, ეს ვიზიტი და გამოხატული მადლიერება ნატოს მიმართ კიდევ ერთი მცდელობაა, რომ არჩვენების შედეგებზე გავლენა მოახდინონ და ხალხის გული მოიგონ.

არჩილ ბერიძე, „ლელოს“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი:

- დღეს საქართველოს საერთაშორისო საზოგადოებასთან ირაკლი კობახიძე წარმოადგენს და მისი ვიზიტი ბრიუსელში არ უნდა აღვივტოთ როგორც ცალკე მოვლენა. ეს იყო ოფიციალური შეხვედრის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტი. იგი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ საქართველოც იყო წარმოდგენილი აღნიშნულ შეხვედრაზე და მნიშვნელოვანი პროცენტის

განხილვაში ჩვენი წვლილის შეტანა შეგვიძლია, თუმცა, უშუალოდ, ირაკლი კობახიძის პოზიცია დასავლეთთან მიმართებით ხშირად საზოგადოების ინტერესს აცდენდა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ევროპულ ლიდერებთან შეხვედრები ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან წელს ჩვენს ქვეყანაში არის საპარლამენტო არჩევნები და მხოლოდ დასავლეთის ჩართულობით არის შესაძლებელი მისი დემოკრატიული გზებით ჩატარება.

ბაბაძე მზინაძე, ქველქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, „პარტია საქართველოსთვის“:

- კობახიძე არის ადამიანი, რომელიც ევროკავშირის ინსტიტუტების უპატივცემულობით გამოიჩინა, ვისთვისაც ევროპარლამენტის გადაწყვეტილებებს ჩალის ფასი აქვს. მისთვის ევროპული პოლიტიკოსები „ნაციონალები“ და გლობალური ომის პარტიის წარმომადგენლები არიან. მისი ზრით, ევროკავშირი ომში გვითრებს. შეიძლება ასეთი ადამიანის ვიზიტის სერიოზულად შეფასება?! რა თქმა უნდა, არა. აქვე შეგახსენებთ, რომ შარლ მიშელის შეთანხმებაც დაარღვია და არაფერს აკეთებდა ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად, უფრო მეტიც, რუსული კანონის მიმდევარია.



ომერ ფარუქ დემირთაში „საქარა საქართველოში“ გვიპატივებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

25 წლის იყო, პირველად საქართველოში რომ ჩამოვიდა, თუმცა მისთვის საქართველო, ქართული ენა, ქართული წეს-ჩვეულებები პატარაობიდანვე იყო მშობლიური. გაზეთ „აჭარის“ სტუმარი ომერ ფარუქ დემირთაში მიმდევარა, თურქეთში, ბურსის რეგიონის სოფელ ინეგოლში მცხოვრები ჩვენებური. მისი წინაპრები 1890-იანი წლების „მუშაჯირობის“ შედეგად გადასახლდნენ ოსმალეთში, თუმცა, მიუხედავად ამისა, არ დაივიწყეს სამშობლო და შეინარჩუნეს ქართული ეთნიკური იდენტობა



- ბატონო ომერ, კიდევ უფრო ახლოს გავიცანით გაზეთ „აჭარის“ მკითხველს.

- პირველ რიგში, მივესალმები თქვენს მკითხველს და გეტყვით, რომ ძალიან მიყვარხართ, ჩვენ ერთმანეთისთვის დები და ძმები ვართ. ჩემი წინაპრები 1890-იან წლებში წამოვიდნენ აჭარის მაღალმთიანი რაიონიდან, კერძოდ, შუახევიდან, სოფელ ნენიდან. მე მათი წარმომადგენელი ვარ. საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ბიზნესითაც ვარ დაკავებული. 2009 წელს დავაარსე ავეჯის მწარმოებელი ქარხანა „Assia Home“. ასევე, ავეჯის საწარმო გაგხსენი საქართველოში, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ნედლეულიდან ადგილობრივ დამზადებული ავეჯით ქართული ბაზრის მომარაგებას, ასევე, საზღვარგარეთ, ექსპორტზე გატანას ქართული ეტიკეტით.

- კარგად ფლობთ ქართულს...
- ქართული ენა, კულტურა, ის, რაც ვიცი და ჩემშია, ყველაფერი ოჯახიდან მოდის, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოში

ბოლო ქორწილები. დღემდე შემორჩენილია ქართული ცეკვა, სიმღერა, კერძები, შეიძლება ითქვას, ყველაფერი. ინეგოლში 18 ქართული სოფელია, ხოლო მთელ ბურსაში - 58. ქართული საზოგადოება ჩვენთან 1977 წელს გაიხსნა და მას შემდეგ მუშაობა არ შეუწყვეტია. პირველად, 1998 წელს, ამ საზოგადოების ანსამბლში „ჩვენებურები“ დაიწყო ცეკვა, 2013 წელს კი საზოგადოების თავმჯდომარე გახდით. იქაც 8 წელი ვიმუშავე. შემდეგ, ქალაქის 8 ქართული საზოგადოება გავეერთიანეთ და 2021 წელს გაგხსენით პირველი ქართული ფედერაცია თურქეთში, რომლის პრეზიდენტი ვარ ამჟამად.



- აღნიშნული ფედერაციის საქმიანობაზე მოგვიყვით...
- ვცდილობთ, ფედერაციაში გაერთიანებული საზოგადოებების ყველა საჭი-

რად დაუცველ ოჯახებს, გაფინანსებთ 80 სტუდენტის უნივერსიტეტში სწავლას. გვაქვს ფონდი, სადაც ვაგროვებთ თანხას და საჭიროებისამებრ ვენმარებთ მათ, ვინც ამას საჭიროებს. ასევე, გვყავს ფეხბურთის გუნდი, რომელიც თურქეთის მესამე ლიგაში თამაშობს, ანუ პროფესიონალები არიან. ჩვენ დიდი გულშემატკივრობა ვიცი, გუნდს სულ ქართული სიმღერებით ვაძლევთ მუნტს მოედანზე. საქართველოში გავრცელდა კიდევ ვიდეო, როგორ ვმღერით „ჩილგელოს“ მოედანზე. ვაპირებთ გუნდის ბათუმში ჩამოყვანას და მეგობრული თამაშის გამართვას.

ქართული ენა, კულტურა, ის, რაც ვიცი და ჩემშია, ყველაფერი ოჯახიდან მოდის, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქართველო ბოლო 30 წლამდე არ ვიცოდით, არავინ იყო აქ ნამყოფი, მაგრამ ყოველთვის ვამბობდით, რომ ქართველები ვართ და ქართველობისთვის არასოდეს გვიღალატია. მყარად ვიცავდით ჩვენს გურჯობას, ქართულ ენას, ტრადიციებს. ქართული წესით ტარდებოდა ქორწილები. დღემდე შემორჩენილია ქართული ცეკვა, სიმღერა, კერძები, შეიძლება ითქვას, ყველაფერი

ერაცია ემსახურება თურქეთის ქართული ველო ბოლო 30 წლამდე არ ვიცოდით, არავინ იყო აქ ნამყოფი, მაგრამ ყოველთვის ვამბობდით, რომ ქართველები ვართ და ქართველობისთვის არასოდეს გვიღალატია. მყარად ვიცავდით ჩვენს გურჯობას, ქართულ ენას, ტრადიციებს. ქართული წესით ტარდებოდა ქორწილები. დღემდე შემორჩენილია ქართული ცეკვა, სიმღერა, კერძები, შეიძლება ითქვას, ყველაფერი



დასპორტული ორგანიზაციების გაძლიერებას, მათი კოორდინირებული მოქმედების კიდევ უფრო გააქტიურებას.

ბობდით, რომ ქართველები ვართ და ქართველობისთვის არასოდეს გვიღალატია. მყარად ვიცავდით ჩვენს გურჯობას, ქართულ ენას, ტრადიციებს. ქართული წესით ტარდებოდა ქორწილები. დღემდე შემორჩენილია ქართული ცეკვა, სიმღერა, კერძები, შეიძლება ითქვას, ყველაფერი

სჭირდებოდა კოსტიუმები, ინსტრუმენტები. ყველაფერს ვაგვარებთ. გვაქვს ქართული ენის შემსწავლელი კურსები, სადაც არავითარ ადამიანს სწავლობს. ვცხადებთ სოციალურ

- თქვენი მშობლებისგან, ბებია-ბაბუისგან თუ გახსენდებათ რამე, რაც საქართველოს უკავშირდება?
- ბაბუი ვიყავი, ბაბუა რომ გარდაიცვალა და ბევრი არაფერი მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ სულ ლექსებს ამბობდა ქართულად. მაშინ ვერ ვხვდებოდი, მაგრამ ჩანაწერები მაქვს, დღეს ხშირად ვუსმენ და ბედნიერების განცდა მეუფლება.

- მჭიდრო კავშირები გაქვთ საქართველოსთან, მაგრამ... კიდევ რა უნდა გაკეთდეს, უკეთ რომ გავიცნოთ ერთმანეთი?
- ბოლო 25 წელია, ტრადიციულად ვატარებ ჩვენებურების ფესტივალს და საქართველოდან ვიწვევთ ანსამბლებს. სამი დღის განმავლობაში გვიწევს ერთად ყოფნა, ერთმანეთისთვის ემოციების გაზიარება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი და თურქეთში მცხოვრები ქართველების დასახლოებლად. ასევე, ვცდილობთ, ქართული დელეგაციები შევახვედროთ აქაურ მერს, გუბერნატორს, ბიზნესის წარმომადგენლებს, რადგან კულტურის გარდა, ურთიერთობები სხვა სფეროშიც უნდა გავამყაროთ, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ და გავდოთ უფრო ძლიერი და ურყევი ხიდი ერთმანეთს. ერთი მნიშვნელოვანი და რთული საქმე გვაქვს მოსაგვარებელი - ინეგოლში მცხოვრებ ქართველებს სურთ საქართველოს მოქალაქეობის მიღება. ბევრი ბიზნესმენია, რომელიც საქართველოში ინვესტიციის ჩადებაზე, კონტაქტების გამყარებაზე ფიქრობს... ამ თემაზე უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ და მჭერა, შედეგსაც მივალწვევთ.

- 8 წელი ცეკვავდით. რომელ ქართულ ცეკვას გამოარჩევთ?
- რა თქმა უნდა, „აჭარულს“, ჩემთვის ყველაზე დადებითი ემოციები მოაქვს.

- ოჯახში ქართული კერძებიდან რომელს ამაზადებთ ხშირად?
- ძალიან მიყვარს ქართული კერძები, ყველა ვიცი და ხშირადაც ვამზადებთ. განსაკუთრებით გამოვარჩევ ფხალობოს, მჭადს, ქალაჯოს, ბორანოს და ასე შემდეგ.

- რას ეტყობდით ქართველებს?
- ბევრმა ქართველმა არ იცის, ჩვენებურები სად ცხოვრობენ, როგორ არიან. უნდა გვესტუმროთ, გავიცნოთ, ზოგს ჩვენთვის უთქვამს, რომ თათრები ვართ, რაც ძალიან მწყინს. ვეპატიუები მათ, ჩამოვიდნენ და ნახონ პატარა საქართველო - ასე ეძახიან ჩვენს ქალაქს. ნახეთ, როგორ ცხოვრობენ და ქართველობენ თქვენი დები და ძმები თურქეთში, როგორ იცავენ, უყვარბთ და უფრთხილდებიან ყველაფერ ქართულს.



რეპრესირებული უთამოავლობის დნმ-ის კვლევა ბრძოლაში

მარია ხოთაბაძე 27 48 93

სოფელ ფერის ამულატორიაში 1937-1938 წლებში რეპრესირებული უთამოავლობის დნმ-ის მორფი კვლევა ჩატარდა. ამჟამად ანალიზი 37-მდე პირმა აიღო. სულ ტესტი 137-მა უთამოავლობა გაიკეთა

ალსანიშნავია, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 2015 წელს იყო შექმნილი 1937-1938 წლებში რეპრესირებული სამარხების მოძიების სამუშაო ჯგუფი, რომლის მეშვეობითაც ინახა მოწმე - სოფელ კირნათში მცხოვრები, აწ გარდაცვლილი ზურაბ ჯიხაძე, რომელიც 1978 წელს იმ ტერიტორიაზე ცეცხლფარეში მუშაობდა. სწორედ ამ ადგილას, 2017 წელს, გათხრების შედეგად, რეპრესირებული პირველი სამარხი აღმოაჩინეს. მას შემდეგ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში აქტიურად ჩართული ამ საქმეში. 2016 წელს პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალი აღმართა, რომელიც უშუალო კავშირშია ფრიდონ ხალვაშის ქუჩაზე აღმოჩენილ სამარხებთან. სწორედ 2016 წლიდან, ყოველი წლის 25 თებერვალს და 22 ივლისს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის წინ მდებარე აღნიშნულ მემორიალთან საზოგადოება სათანადო პატივს მიაგებს მათ ხსოვნას.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ხათუნა დიასამიძე რეპრესირებულის უთამოავლობა. სწორედ მისი დახმარებით შეძლეს ქედაში რეპრესირებული უთამოავლობის მოძიება.

მოგესხენებათ, 3 ნეშტის იდენტიფიცირება უკვე განხორციელდა და ისინი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ოჯახებს გადაეცათ. ახლა უკვე უთამოავლობის დნმ-ის ანალიზები კეთდება. აქამდე „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია“ „გაფას“ პრეზიდენტი, ქალბატონი



მერი გონაშვილი ჩამოდის ხოლმე და ყველანაირად გვერდში გვიდგას. იმედი გავგიჩნდა, რომ შესაძლებელია, ჩვენი წინაპრების ნეშტებიც ინახოს. უთამოავლობის დიდი ნაწილი ძალიან დიდი სიხარულით ეგებება ამ ამბავს და სულმოუთქმელად ელის პასუხებს, თუმცა ეს საკმაოდ რთული და დროში გაწელილი პროცესია. ჯერ უთამოავლობის ანალიზი კეთდება, რომელიც ევროპაში იგზავნება, შემდეგ კი მათი დამუშავება ხდება. დამატებით 38 ნეშტის დნმ-ის ანალიზიც გაკეთდა, წინა დღეებში კი 37-მა უთამოავლობა

მა აიღო ანალიზი. სასიხარულო ამბავია - ადამიანები ძალიან დაინტერესებულნი არიან, ვერ წარმოიდგენენ, როგორ ელიან პასუხებს. ზოგს საფლავიც აქვს გამოხადებული... წინ ჯერ კიდევ დიდი შრომა გველის, არსებობს რამდენიმე სამარხი, რომლებიც ეტაპობრივად უნდა გაიხსნას. საარქივო მასალებიც უამრავი გვაქვს, მისამართებიც ვიცით. რაც უფრო მეტი უთამოავლობა აიღებს დნმ-ის ტესტს, მით უფრო გამარტივდება ეს პროცესი. 2019 წლიდან ბატონი თორნიკე რიჟვაძის მიერ შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც

მელსაც აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე ხელმძღვანელობს. რეპრესირებული პანთეონის გახსნასთან დაკავშირებული პროცესიც დაძვრულია. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ თორნიკე რიჟვაძეს, ასევე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ზაზა დიასამიძეს, რომელიც ყოველთვის გვერდში გვიდგას. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან თავიდანვე ჩავერთეთ ამ პროცესში, რადგან ერთ-ერთი სამარხი სწორედ აქ არის ნაპოვნი. მეც რეპრესირებული უთამოავლობა ვარ, ბაბუაჩემი ამ რეპრესირებულს შეეწირა და როგორც საკრებულოს წევრი, ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოვიძიო. კონტაქტებიც მაქვს. ერთობლივად ძალიან დიდ საქმეს ვაკეთებთ და, იმედია, ყველაფერი შედეგადად დასრულდება, - გვითხრა ხათუნა დიასამიძემ.

ალსანიშნავია, რომ აქამდე „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია“ „გაფას“ და „აჭარის მემორიალ“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების (მემორანდუმის) საფუძველზე, ორგანიზაცია „აჭარის მემორიალი“ ეძებს 1937-1938 წლებში რეპრესირებული უთამოავლობებს, ხოლო „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია“ დნმ-ის ანალიზის საფუძველზე ცდილობს დადგინოს, ვის მიეკუთვნება აღმოჩენილი ნეშტები.

აჭარის პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლთა და მათ უთამოავლობა სოციალური დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალი“ რეპრესირებული უთამოავლობებს სთხოვს, გამოეხმაუროს აღნიშნულ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ზურაბ ზაქარიასს ყოველდღე, 18:00 საათიდან, მობილურის ნომერზე 595721416, რათა ორგანიზებულად ჩატარდეს დნმ-ის ანალიზის ანუ რეპრესირებული უთამოავლობა ოჯახის წევრებისაგან.

1937-1938 წლებში რეპრესირებული ქალები - აჭარიდან

ზერიფე ჯორბენაძეს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და ყაზახეთის რესპუბლიკის ყარაგანდის ოლქში გადასახლეს, სადაც აუტანლად მძიმე პირობებში წლები გაატარა. სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ კუთხეში, მაგრამ ყველაფერი განადგურებული და გაპარტახებული დახვდა. ზერიფე ჯორბენაძეს მშობლიურ კუთხეში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა. 1949 წელს იგი, როგორც „ხალხის მტერი“, გასახლეს რუსეთის ფედერაციის უკაცრიელ მხარეში, საიდანაც 1954 წელს დაბრუნდა. 1956 წელს ზერიფე ილიასის ასული ჯორბენაძე, ხოლო 1957 წელს მისი მეუღლე რიზა შახველოდის ძე ხოზრევანიძე რეაბილიტირებულნი არიან, როგორც უსამართლოდ დასჯილები. ამჟამად ისინი აღიარებული არიან პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად.

ადგიე კონცელიძე, ეროვნებით თურქი, თურქეთის ბათუმის კონსულის ნათესავი იყო. ქმარი ოსმან კონცელიძე, რომელიც აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად მუშაობდა, კონტრარევოლუციონერ-ტროცკისტობის ყალბი ბრალდებით 1937 წლის ნოემბერში დახვრიტეს. ამავე წლის ნოემბერში დააპატიმრეს მისი მეუღლე ადგიეც, რომელსაც ბრალად ედებოდა თურქეთის ჯარში მუშაობა და ქმრის ტროცკისტულ-კონტრარევოლუციური საქმიანობაში მონაწილეობა. ამ შუთითხნილი ბრალდებით ადგიე 10 წლით გადასახლეს რუსეთის ფედერაციის უკაცრიელ მხარეში.

ტრაგიკულ ოცდაჩვიდმეტს ემსხვერპლენ აჭარის საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარ ოსმან მოწყობის ოჯახის წევრები. პირველ რიგში, ალსანიშნავია ოსმან მოწყობის მეუღლე ვალენტინა ვასილის ასული კონოკოტინა. იგი, ეროვნებით რუსი, ქ. ბათუმში 1906 წელს დაიბადა. მამა პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა. დედა მეორედ გათხოვდა, ცოლად გაჰყვა ეროვნებით ფრანგ ედგარ ყუბერს. ვალენტინა მამინაცვალთან გაიზარდა და ცოლად შეირთო ოსმან მოწყობის მამა. მათ ორი შვილი შეეძინათ, ნელი და ედნანი. მამის დაპატიმრებისას ნელი 11 წლის იყო, ხოლო ედნანი - ერთი. ოსმან მოწყობის დახვრეტის შემდეგ შინსახკომის ჯალათებმა დააპატიმრეს მისი მეუღლე ვალენტინა კონოკოტინა. საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეულის დადგენილებით, იგი 8 წლით გადასახლეს რუსეთში.



თის ფედერაციის შორეულ მხარეში - ციმბირში.

ვალენტინა კონოკოტინას ბრალად წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლი: 58-10, 58-11 და 58-23, რაც იმდროინდელი საბჭოთა ხელისუფლების დამხობის პროპაგანდა-აგიტაციას, ყოველგვარ ორგანიზებულ



ქმედებას დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის, დანაშაულის განუცხადებლობას. თითქოს მან დამალა მისი ქმრის, ოსმან მოწყობის კონტრარევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობა. ამავე ბრალდებით დააპატიმრეს ვალენტინა კონოკოტინას დედა - ზოია ილიას ასული ბოიკოვა-ყუბერი და 8 წლით გადასახლეს (ნელი ოსმანის ასულ მოწყობის ინფორმაცია, ჩავიწერეთ 2014 წლის 15 თებერვალს). ტანჯვა-წვალებაში გაიზარდნენ შვილები ნელი და ედნანი, თვალცრემლიანებმა გაატარეს ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები.

დედა გადასახლებიდან 1945 წელს დაბრუნდა, მაგრამ დაავადებული და დაგლახებული. შვილების სულიერი მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა მშობლების რეაბილიტაციის შემდეგ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1957 წლის 6 სექტემბრის დადგენილებით, ოსმან ხულუსის ძე მოწყობილი და მისი მეუღლე ვალენტინა ვასილის ასული კონოკოტინა, სიდედრი ზოია ილიას ასული ბოიკოვა რეაბილიტირებულნი არიან, მაგრამ ის ტყვეილი, რაც უთამოავლობამ განიცადა, მოუშუშებელი რჩება.

ტრაგიკულ ოცდაჩვიდმეტში დიდი უბედურება გადაიტანა სელმან ლორთქიფანიძის ოჯახმა და სანათესაო. სელმან ლორთქიფანიძე გამოცდილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე იყო. მისი მეუღლე ასევე კომპანიე არსად მუშაობდა - დასახლისი გახლდათ. იგი 1937 წელს დააპატიმრეს ბრალდებით: „არ ამხილა ქმრის ტროცკისტულ-კონტრარევოლუციური საქმიანობა“. ასევე კომპანიე ქმრის, სელმან ლორთქიფანიძის „ანტისაბჭოთა საქმიანობაში“ თანამონაწილეობა დააბრალეს. ამ ყალბი ბრალდებით 8 წლით გადასახლეს ყაზახეთში, სასჯელს იხდიდა ქალაქ აკუმინის ქალთა კოლონიაში. ასევე კომპანიე შინსახკომის ჯალათებმა ავადმყოფი წაიყვანეს და შრომა-გასწორების ბანაკში მისი ჯანმრთელობა კიდევ უფრო გაუარესდა. ამიტომ გადასახლებაში მხოლოდ 3 წელი გაატარა.

შინსახკომის ჯალათებმა ყალბი ბრალდების საფუძველზე 1937 წელს დახვრიტეს ასევე კომპანიე ორი ძმა - იუსუფი და სულეიმანი. ცხადია, ამ ბარბაროსული ქმედების შედეგად ოჯახის წევრების მწუხარება გაიზარდა. ასევე კომპანიესა და სელმან ლორთქიფანიძის სამი ქალიშვილი დარჩათ (ნადია, ნუნუ და ლილი). დაობლებული შვილები ნათესავებთან იზრდებოდნენ. დედის



გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ბავშვების ცხოვრება და სულიერი ტკივილები რამდენადმე შემსუბუქდა, მაგრამ მაინც არანორმალური ცხოვრების პირობები ჰქონდათ. დედამ, ასევე კომპანიემ, გადასახლებაში ისწავლა ჭრა-კერვა და დაბრუნების შემდეგ ამ ხელობით არჩინდა შვილებს.

სულიერი ტკივილის, მძიმე მატერიული პირობების მიუხედავად, შვილებმა დაამთავრეს საშუალო სკოლა და მოწვევდნენ ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. უფროსმა, ნადიამ და უმცროსმა, ლილიმ, დაამთავრეს ამ ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ხოლო ნუნუ ლორთქიფანიძემ - ფიზიკა-მათემატიკის. ისინი ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სისტემაში. დედა-შვილები, როგორც სხვა რეპრესირებული ოჯახის წევრები, დიდხანს ელოდნენ სამართლიანობის აღდგენას და 50-იან წლებში ყინული დაიძრა, ასევე კომპანიისა და მისი მეუღლის, სელმან ლორთქიფანიძის რეაბილიტაცია მოხდა დანაშაულის არარსებობის გამო. ამასაც საგრძნობი მნიშვნელობა ჰქონდა სულიერი ტკივილის შემსუბუქებისათვის.

ოთარ თურმანიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (გაგრძელება იქნება)

საოცარი ფერებით გადმოცემული...

6666 აბუჯამი 577 20 35 90

ფერთა ულამაზესი გრადაცია, ნახატებით გადმოცემული სათქმელი, რომელიც საქართველოს წარსულისა თუ აწმყის ყოველდღიურ ყოფას ასახავს და ხან ნოსტალგიური, ხან კიდევ იუმორისტული განწყობების ტალღა შემოაქვს შენში

ბათუმის ხელოვნების მუზეუმის გალერეა ლალო თევდორაძის გამოფენას მასპინძლობს, რომლის დათვალიერება და საოცარი ემოციების მიღება 25 თებერვლის ჩათვლით შეგეძლებათ. მხატვარი ამბ-

ობს, რომ მისთვის შთაგონების განსაკუთრებული წყარო მშობლიური სოფელი და ბავშვობის წლებია, რომლებიც თითქმის ყველა ადამიანის ცხოვრებაში ძალიან თბილ და სიყვარულით სავსე განცდებს იწვევს, შთაგონებს, რომ გარდასულ დღეთა მოგონებებით რაღაც ფორმით, ფერით მიიტანო ადამიანებამდე.

- ჩემი შემოქმედების მთავარი ნიშა არის ჩვენი ყოფის აღწერა, ძველის, ახლის და მომავლის ერთგვარი შერწყმა, შეხავება. მხატვარი ყოველთვის ცდილობს, თავისი სათ-

ქმელი გადაიტანოს ტილოზე და საზოგადოებას შეუქმნას საინტერესო განწყობა, დააფიქროს არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე, - გვითხრა ლალო თევდორაძემ, რომლის ნამუშევრები დაცულია კერძო კოლექციებში, მათ შორის გერმანიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ლალო თევდორაძე ვახლავთ 4 პერსონალური და 20-მდე გავრცელებული გამოფენის ავტორი და მონაწილე როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

მილოზა

როსტომ აბაშიძეს

გამოჩენილ სპორტსმენს, მსოფლიოს სამეზის ჩემპიონ როსტომ აბაშიძეს დღეს - 23 თებერვალს დაბადებიდან 88 წელი შეუსრულდა.

როსტომ აბაშიძემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოში ჭიდაობის განვითარებაში - მან აჭარაში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას ჩაუყარა საფუძველი.

ვულოცავთ ბატონ როსტომს ზემოთ აღნიშნულ თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

აჭარის ვეტერან სპორტსმენთა კავშირის თავმჯდომარე ანდრი ძაშთარაძე



რა უნდა ვიცოდეთ სიფრული არჩევნების შესახებ?

მე-3 გვერდიდან

- არაერთი მითი, დეზინფორმაცია და სიცრუე ვნახეთ, რომლებიც ტექნოლოგიების შესახებ გავრცელდა. რვა საპილოტე პროექტის შემდეგ საზოგადოებამ ნახა, რომ ამ ტექნოლოგიებს, მართლაც, წუნი არ აქვს და ის მნიშვნელოვან აზღვევს იმ წუხილს, რაც საარჩევნო პროცესში, განსაკუთრებით, კენჭისყრის დღეს არსებობდა. შემდგომ ტექნოლოგიების დისკრედიტაციის უკვე ახალი ტალღა ვნახეთ, - პრობლემა აგანდა სტიგმატიზებითა და რუსულ სისტემასთან აფილირებით, ასოციაციებით დაიწყო მაშინ, როდესაც ამ ყველაფერს არანაირი შემხედლობა და კავშირი არ აქვს რუსულ საარჩევნო სისტემასთან. რა თქმა უნდა, ტექნოლოგიებს ყოველთვის თან სდევს დეზინფორმაცია, ისევე, როგორც სხვა საკითხებს და ამის არაერთი მაგალითი ვნახეთ მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო ორგანოში იმდენი გადამწყვეტილება ფართომასშტაბიანი ტექნოლოგიური ინტერვენციის შესახებ, მაგრამ საარჩევნო ადმინისტრაცია თავისი გამჭვირვალე და ობიექტური საქმიანობით გააკეთებს ყველაფერს, რათა საზოგადოებისა და ამომრჩევლის ობიექტური ინფორმირება უზრუნველყოს ამ პროცესთან მიმართებით. ისეთი კითხვები თუ იქნება,

რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციის განეკუთვნება, რა თქმა უნდა, დეტალურად მივაწვდით მათ ჩვენს ხელდასა და პოზიციას. ამასთან, თუ იქნება ისეთი იდეები ან საკითხები, რომელთა განხილვაც არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდშია შესაძლებელი, ჩვენი მანდატისა და ერთობლივი ძალისხმევით ფარგლებში, საარჩევნო ადმინისტრაცია მხოლოდ მიესალმება ასეთ ინიციატივებსა და იდეებს, - გვითხრა გიორგი კალანდარიშვილმა.

მისივე განცხადებით, ემიგრანტებთან დაკავშირებით, გარკვეულ შემთხვევაში, საკანონმდებლო დონეზე გაიზარდა ამომრჩევლების მიმართვიანობის ვადები.

- უნდა აღინიშნოს, რომ ემიგრანტების შემთხვევაში საკანონმდებლო დონეზე გაიზარდა ამომრჩევლების მიმართვიანობის ვადები ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ამომრჩეველი არ იმყოფება საკონსულტაციო ადრისცხვაზე. მათ, არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, შეუძლიათ, მიმართონ შესაბამის საკონსულტაციო დაწესებულებებს და მოითხოვონ არჩევნებში მონაწილეობა, შესაბამისი რეგისტრაცია. უცხოეთში მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის საკითხი რეგულირდება კანონმდებლობით და კანონქვემდებარე ნორმატიული

აქტებით, რომლებიც ადგენენ შესაბამის ვადებს, წესსა და პროცედურებს, თუ როგორ, როდის და რა ფორმით უნდა მოხდეს არჩევნებში მათი მონაწილეობის საკითხების ორგანიზება და უზრუნველყოფა. მათ შორის, არის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც კენჭისყრის დღემდე ერთი თვით ადრე იქმნება საარჩევნო უბნები შესაბამისი უწყვეტი მითრ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლის თაობაზე საარჩევნო ადმინისტრაცია იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო უბნების შექმნის თაობაზე. აქედან გამომდინარე, დღეს ამ საკითხით მანიპულირება ემსახურება უცხოეთში მყოფი მოქალაქეებისთვის არასწორი მოლოდინების და აღქმების შექმნას. თუნდაც, დღეს ხელმოწერების შეგროვება არანაირად გათვალისწინებული არ არის სამართლებრივი პროცედურების არცერთ ეტაპზე. ზოგადად, არ ითვალისწინებს კანონმდებლობა ასეთ პროცედურას მაშინ, როცა უცხოეთში მყოფი თანამემამულეებისთვის, რომლებიც საკონსულტაციო ადრისცხვაზე არ იმყოფებიან, კანონმდებლობა ითვალისწინებს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საარჩევნო რეგისტრაციის გაგებას, რომელსაც თავისი ვადები და პროცედურები აქვს. შესაბამისად, ჩართულ მხარეებს ვთხოვ, არ

დავაზიანოთ საარჩევნო გარემო, არ შეგქმნათ არასწორი აღქმები ამ საკითხებზე. თუ მაინც და მაინც ამომრჩევლის ინფორმირება სურთ პოლიტიკურ პარტიებს, მაშინ მივაწოდოთ მათ სწორი ინფორმაცია იმ რეკულაციების შესახებ, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფოთ თანაბარი სერვისების მიწოდება და ინფორმირება, რასაც ცესკო აკეთებს. დღეს, ერთი წლით ადრე, პირი შეიძლება იმყოფებოდეს კონკრეტულ ადგილას და ხვალ აღარ იმყოფებოდეს, არათუ მისი შემდეგ, როცა საარჩევნო პერიოდს მივუახლოვდებით, ამიტომ ეს პროცედურები დროში და სივრცეში შესაბამისად მოწესრიგებულია. შესაბამისი უწყებები შესაბამის ვადებში მოგაწვდებიან საკონსულტაციო ადრისცხვაზე მყოფი პირების, ასევე, უცხოეთში მყოფი ამომრჩევლების შესახებ ინფორმაციას. საკონსულტაციო ადრისცხვაზე არყოფნა არ ნიშნავს იმას, რომ პირი აუცილებლად არალეგალურად იმყოფება უცხოეთში, მაგრამ საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან პროცედურებს, რომლებიც მონაწილეობის მიზნით საარჩევნო რეგისტრაციის გაგებას, რომელსაც თავისი ვადები და პროცედურები აქვს. შესაბამისად, ჩართულ მხარეებს ვთხოვ, არ

შექმნილ საარჩევნო უბნებზე, - გვითრა კალანდარიშვილმა.

ცესკოს თავმჯდომარე ასევე აღნიშნა, რომ ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებისას უზრუნველყოფილი არ არის ინტერნეტი, რაც აზღვევს რისკს, რომელიც კიბერსაფრთხეებს, კიბერჩარევებს უკავშირდება.

- რაც შეეხება ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორც მოგესვენებთ, არც ერთი და არც მეორე ტექნოლოგიური საშუალების გამოყენების შემთხვევაში არ არის უზრუნველყოფილი ინტერნეტი, რაც, თავის მხრივ, აზღვევს რისკს, რომელიც უკავშირდება კიბერსაფრთხეებს, კიბერჩარევებს და ხსნის მოწყვლადობას ამ აპარატებთან მიმართებით. შესაბამისად, ამ მიზნით ქვეყნის მთლიან არ ხდება ინტერნეტის გამოყენება. ბუნებრივია, ის, რომ ქვეყნის გარეთ ამომრჩეველთა მომსახურების მიზნით ინტერნეტის კომპონენტის გამოყენება ხდებოდა. ეს, თავის მხრივ, გარკვეულ საფრთხეებთან, რისკებთან არის დაკავშირებული, რაც, ჩემი აზრით, იმთავითვე გაითვალისწინეს შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებისას, როდესაც ასეთ ტექნოლოგიურ ინვესტიციებზე მოხდა შეთანხმება საკანონმდებლო ორგანოში, - განაცხადა გიორგი კალანდარიშვილმა.

10 ყალბი ინფორმაცია - კანონპროექტის მიღება

მე-4 გვერდიდან

სინამდვილეში, კანონპროექტით ყველა მუნიციპალიტეტს უდგინდება ვალდებულება, უზრუნველყოს უპატრონო და მიკედლებული ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაცია. ამისთვის სახელმწიფო ობიექტიდან ეტაპობრივად გამოიყოფა ათეულობით მილიონი ლარი. რაც შეეხება ანტირაბიულ ვაქცინაციას, სახელმწიფოს მხრიდან ასევე გაგრძელდება უპატრონო ცხოველების ანტირაბიული ვაქცინაცია, ხოლო მიკედლებული ცხოველების შემთხვევაში, რადგან კანონპროექტით არ დგინდება მიკედლებული ცხოველების რაოდენობრივი შეზღ-

უდვა, სახელმწიფო ანტირაბიულ ვაქცინაციას უზრუნველყოფს 2027 წლის ბოლომდე.

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს მიკედლებლობისთვის არც კომპლექსური ვაქცინაციის და არც სხვა ვეტერინარული მომსახურების გაწევის ვალდებულებას.

მეშვიდე - ამბობენ, თითქოს თუკი მიკედლებული ძაღლი ვინმეს დადარბოდა ან გაკაწრავს, მიმკედლებელი 500 ლარით დაჯარიმდება.

სინამდვილეში, კანონპროექტში საუბარია არა მიკედლებული ძაღლის მიერ, არამედ პატრონიანი ძაღლის, კერძოდ, შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონის ვა-

ლდებულებების დარღვევაზე, რასაც შედეგად მოჰყვა დაკბენა-დაკაწრის გზით სხვა ცხოველის, ან ადამიანის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება. დადარბვლაზე საუბარი არ არის, ხოლო დაკბენა/დაკაწრას უნდა მოჰყვეს ჯანმრთელობის დაზიანება იმისათვის, რომ 500 ლარით დაჯარიმდეს მეპატრონე, რომელიც უპასუხისმგებლოდ მოიქცა.

მერვე - ამბობენ, თითქოს თუ უპატრონო ძაღლი ან კატა აღმოჩნდება სასურსათო მაღაზიაში, ავთოაქში ან საავადმყოფოში, ამ დაწესებულების მესაკუთრეები დაჯარიმდებიან 50 ლარის ოდენობით.

სინამდვილეში, ეს არის სრული

დეზინფორმაცია, მიზანმიმართული კანონპროექტის დისკრედიტაციისა და ხალხის მასობრივი დაზიანების გზით.

მეცხრე - ამბობენ, თითქოს სამე მეტი ძაღლის ყოლაზე შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კერძოდ, საკუთრების უფლებას, რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს.

სინამდვილეში, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით საკუთრების უფლება შესაძლებელია, შეიზღუდოს სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

მეათე - საჭარო სივრცეში ამბობენ, თითქოს 26 თებერვალს და-

გეგმილია გარემოს კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტის მიღება.

სინამდვილეში, გარემოს დაცვის კომიტეტი წამყვანი კომიტეტი და მის სხდომაზე ოთხმა დასკვნის მიმცემმა კომიტეტმა უნდა განიხილოს კანონის პროექტი (ჯანდაცვა, რეგიონული, უფლებები, საფინანსო). ამის შემდგომ წამყვანმა კომიტეტმა სამი მოსმენით უნდა განიხილოს, რათა პლენარულ სხდომაზე შესაძლოა მოსმენით ეყაროს კენჭი. უნდა ჩატარდეს შვიდი საკომიტეტო და სამი პლენარული მოსმენა, ჯამში, ათი მოსმენა, - განმარტავს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი.

„ქართულ ჭიდაობას, როგორც ქართულ ცეკვას, უკვე მთელი მსოფლიო უკრავს ტაშს“

მე-5 გვერდიდან

- კარგად ვიცით, რომ ქართული ჭიდაობის ძირითადი დასაყრდენი და თავყარო ოდითგან სოფელი იყო. სწორედ აქ ფრთხილდებოდნენ შემდგომში საქვეყნო ალიარბული ფალანგები, რომლებსაც შორს გაშქონდათ ქართველი კაცის სახელი და ღირსება. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართული ჭიდაობა აჭარის მთისა და ბარის სოფლებში პოპულა-

რული ხდება. ამის წინაპირობა იყო ის საქმიანი, გულისხმიერი მიდგომა, რასაც აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობა იჩენს სპორტის ამ უძველესი სახეობის რეანიმაციისთვის. მთიანი აჭარის ახალგაზრდებში დიდია შზაობა, რომ ქართულ ჭიდაობაში გამოთვლინონ საკუთარი ძალა, ნიჭი და საზრიანობა. შედეგები საკმაოდ პოზიტიურია. სასიხარულოა, რომ განსაკუთრებით შუა ახვის, ხულოს და ქედის მუნიციპალიტეტ-

ბის სოფლებსა თუ თემებში ქართული ჭიდაობა უფრო მეტად მშობლიური, პოპულარული და პრესტიჟული ხდება... ვიმედოვნებ, ეს სასიკეთო ტენდენცია სხვა მუნიციპალიტეტების სოფლებშიც აქტიურად მოიკიდებს ფეხს და ადგილობრივ სპორტულ ინფრასტრუქტურას ქართული ჭიდაობის მარტივი ტიპის საჭიდაო არჩევნები შეემატება, სადაც, ქართულ-კახეთის მხგავსად, სახალხო დღესასწაულებზე მასობრივად გაიმართება სხვადას-

ხვა ტურნირი და პირველობა.

- დაბოლოს, ბატონო ჯემალ, სადღესო საქმიანობის მთავარ გამოწვევად რა მიგაჩნია?

- ფედერაციის ხელმძღვანელობა, საყოველთაო აღიარების ფონზე, მეტი დამაჯერებლობით, მოტივაციით, გააზრებული, ჯეროვანი და კოორდინირებული მუშაობით უფრო მეტად ესწრაფვის ფედერაციის სამწვრთნელო, სამსახო და სპორტსმენთა პროფესიული დაოსტატების სრულყოფას, ფედერაციის საერთაშორისო კავშირების გაფართოებას და საკუთარი წილობრივი მაჩვენებლის გაზრდას ჩვენი ეროვნული სულის - ქართული ჭიდაობის წინსვლაში, პოპულარიზაციასა და საერთაშორისო აღიარებაში.

<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>მარიანა მითაიშვილი</p>	<p>გამომცემი რედაქტორი</p> <p>ირმა შერვაშიძე</p> <p>ლიტერატურული რედაქტორი</p> <p>ეთერ სომარიკი</p>	<p>რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p>გამომცემი - შპს</p> <p>«ბანკიი აჭარა ლა ალპარია»</p> <p>კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრინი»</p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაღდაშაძის ქ. №3</p>	<p>მისამართი: 6000, ბათუმი, ბრიგოვოვოს ქ. №2</p> <p>ტელ: 27-13-31</p> <p>ინფო და დაკავშირება</p> <p>გაზეთ აჭარის ქომა. ცენტრი</p> <p>დასაბავაღ ხელმოწერილი 22/02/24, 17:20 სთ.</p>	<p>ღირაქტორი</p> <p>გამუკა ბერიკი</p>
--	---	---	--	---	---



„საქართველო წერს ზურაბ გორგილაძის რჩეულს“

ლანა ხომერიკი 593 50 82 69

„საქართველო წერს ზურაბ გორგილაძის რჩეულს“ - ამ სახელწოდების ლიტერატურული პროექტი შარშან, აგვისტოში ამოქმედდა და იმთავითვე ფართო საზოგადოების ყურადღების არეალში მოექცა

გენიალური ზურაბ გორგილაძის თავანკარა, ხატოვანი პოეზია გულისგულამდე გაითავისა და შეიყვარა მკითხველმა, ახლა კი სრულიად საქართველოს პოეზიის მოყვარულებს შანსი ეძლევათ, პოეტისადმი თავიანთი სიყვარული გამოხატონ ამ პროექტში მონაწილეობით.

როგორ მიმდინარეობს პროექტი? რა არის მისი არსი და დანიშნულება? ვინ ახორციელებს და როგორ? - ამის გასაგებად აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის გამგეობის წევრს, მწერალ **თამარ ხოზრმაშვილს** ვესაუბრეთ.

- **„საქართველო წერს ზურაბ გორგილაძის რჩეულს“ - ამ ლიტერატურული პროექტის იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი ვინ გააცანით ჩვენს მკითხველს.**

- მივესალმები თქვენი გახეთის მკითხველებს, მშვიდობა და სულის სიმშვიდე არ მოგკლებოდეთ. ყველაზე მეტად ეს გვჭირდება დღევანდელ - კატიკალიზმების ეპოქაში. საყოველთაო პროექტის, ასე უწოდებს ცნობილმა პიროვნებებმა „საქართველო წერს ზურაბ გორგილაძის რჩეულს“, ავტორები და სულისჩამდგმელი არიან აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის გამგეობის წევრები, კერძოდ, მე - თამარ ხოზრმაშვილი და გოჩა ირემიძე, რომლის დამსახურებაც ზურაბ გორგილაძის სახლ-მუზეუმის არსებობა. მოგვეხსენებათ ამ სახლის ისტორია: ირანელმა მოქალაქემ იყიდა ზურაბ გორგილაძის სახლი. რომ არა ბატონი გოჩას კეთილი ნება და ქველმოქმედება, ვერ დაიბრუნებდით სახლს, სადაც ამჟამად პოეტის მოქმედი სახლ-მუზეუმი. ერთ-ერთ სხდომაზე საუბრისას დაიბადა ერთობლივი იდეა, წამოგვეწყო ასეთი პროექტი, შეგვექმნა ზურაბ გორგილაძის ხელნაწერი წიგნი, რომელსაც სრულიად საქართველო დაწერდა. პროექტში მონაწილეობის საშუალება აქვს ყველას, ვინც არსებული წიგნიდან ხელნაწერ წიგნი გადაწერს ერთ ლექსს ისე, რომ იკითხებოდეს. სასურველია, ხელნაწერი ლამაზი იყოს. ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, ასეა ხელნაწერიც, ცუდი კალიგრაფია გაქვს და ვერ დაგაწერინებთ - ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. გადაწერები პასუხისმგებლობას გრძობენ, ცდილობენ, ლამაზად დაწერონ.

- **როგორ შეხვდა ქართული საზოგადოება ამ პროექტს, როგორ მიმდინარეობს, ვინ მონაწილეობს მასში, როდის დასრულდება და როგორ დაისტამბება წიგნი, როგორი ფორმით მიეწოდება იგი მკითხველს?**

- საზოგადოება აღფრთოვანებულია ამ პროექტით, თითქმის ყოველდღე გვირეკვენ პროექტში მონაწილეობისთვის, პაპანაქება



სიცხეში და ძალიან ცივ დღესაც ჩავიწერია... ჩაწერა ასე ხდება: არსებული წიგნიდან თანმიმდევრულად, რომელი ლექსიც შეხვდება გადამწერს, იმას გადაწერს. ვისაც სურვილი აქვს, ვიდეოჩანაწერსაც ვაკეთებთ, ანუ გორგილაძის ლექსს კითხულობენ და საუბრობენ ამ პროექტის შესახებ. პროექტი რომ სახალხოა, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მასში ყველა პროფესიისა და ასაკის ადამიანი მონაწილეობს. დღემდე ყველაზე პატარა მონაწილე გაბრიელ ირემიძეა (6 წლის) და ხანდაზმული - 85 წლის ნაზი ჯორბენაძე-შავაძე. მადლობა მათ მონაწილეობისთვის. პროექტი მაშინ დასრულდება, როდესაც ერთობლივი ბოლო ლექსი გადაწერება. შემდეგი ეტაპი იქნება ტექნიკური უზრუნველყოფა - ხელნაწერი წიგნი დაიბეჭდება. გვაქვს იდეა, გადაწერების ვიდეოჩანაწერები ერთ ფირში მოვაქციოთ და წიგნს დავუერთოთ. საბოლოო მიზანია, ხელნაწერი წიგნი დასტამბული გავრცელებდეს საზოგადოებაში, რისი დიდი მთხოვნილებაცაა, დღეს ზურაბ გორგილაძის წიგნები ბიბლიოთეკაში იშვიათობაა - ვერსად შეიძენ. თუ შევძლებთ, მსურველებს, ცოტათი მაინც, ხელი გავუწოდოთ, მიზანი მიღწეული იქნება.

- **როგორც თქვით, ამ დიდი საქმის მოჭირნახულეა აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი, ბატონი გოჩა ირემიძე. ამ ეტაპზე და შემდგომაც, ცხადია, მისი თანადგომის გარეშე ეს დიდი საქმე არ გაკეთდება.**

- აჭარის მამულიშვილთა კავშირის, ასევე, განსაკუთრებით, გოჩა ირემიძისა და ვლადიმერ მახარაძის იმედი გვაქვს, მათი ძალისხმევით და საშვილიშვილო საქმე ვერ დაგვირგვინდება.

- **როგორც ვიცით, ქუთაისში საზოგადო მოღვაწე, პოეტი და მეცენატი მერაბ კვიციანი ზურაბ გორგილაძის პოეზიის უბადლო მცოდნე და დამფასებელია. ის როგორ შეხვდა თქვენს პროექტს, როგორ დაგაკვლიათ... მით უმეტეს, როცა მას დიდი გამოცდილება აქვს - თავად ახორციელებს პროექტს „ვეფხისტყაოსანს“ წერს საქართველო.**

- მერაბ კვიციანი პროექტის წარდგენაზე მოვიწვიეთ, ჩამობრძანდა და პირველი ჩანაწერიც გააკეთა. ბატონი მერაბი პროფესიით ექიმი, ზურაბ გორგილაძის პრემიის პირველი ლაურეატი, მისი პოეზიის უბადლო შემფასებელი და მცოდნეა, ზურაბის 200-ზე მეტი ლექსი ზეპირად იცის, აღიარებული თამადაა, ყველა სადღეგრძელოს ზურაბის ლექსით ამთავრებს, იმერეთს და სრულიად საქართველოს შეაყვარა გორგილაძის პოეზია. სულ სამი ნიღაბი არსებობს ზურაბ გორგილაძის, ერთ-ერთი, როგორც ზურაბის ლექსების საუკეთესო მცოდნესთან, ბატონ მერაბთანაა. იგი ხშირად მოგზაურობს და უცხოეთის ყველა ქართულ სათვისტომოში მიაქვს ზურაბ გორგილაძისადმი მიძღვნილი გახეთი, ჩვენს პროექტს კი სიხარულით შეხვდა და წარმატებები გვისურვა. საერთოდ, ბატონი მერაბის დედა და შრომა განუზომელია გორგილაძის შემოქმედების დაფასება-აღიარებაში.

- **პროექტი დროულად და წარმატებით რომ დასრულდეს, რა დახმარება და თანადგომა გჭირდებათ?**

- ამისთვის საჭიროა, რაც შეიძლება ინტენსიურად ვწეროთ, წიგნი საკმაოდ მოცულობითი - 572-გვერდიანია, ერთი სტუმარი ერთ ლექსს წერს, წიგნის დასრულებას ერთი წელი მაინც დასჭირდება. პროექტი ხორციელდება 2023 წლის აგვისტოდან, ვწერდით აგვისტოს ცხელ და იანვრის ცივ დღეებშიც, მამულიშვილთა კავშირის ოფისში არანაირი პირობები არ არსებობს, გადაწერი თავს კომფორტულად რომ გრძობდეს, ამიტომ ბარათაშვილის ქუჩაზე პატარა საოჯახო სასტუმრო გვაქვს და იქ ვაწარმოებთ რჩეულის გადაწერას.

- **რა საიხლებს უნდა ველოდეთ თქვენგან?**

- პროექტზე მუშაობამ უფრო დამახლოვა გორგილაძის პოეზიასთან და შემაყვარა, პარალელურად ვსწავლობ და ვამუშავებ თემას გორგილაძის შემოქმედებაზე.

- **ახლანან მნიშვნელოვანი საიხლე მოგილოცეს ახლობლებმა - საქართველოს მწერალთა კავშირში გაწევრიანდით. ჩვენც გილოცავთ...**

- მადლობა, გაიხარეთ. ფეისბუქზე ძველი პოსტი გავზიარე, ბევრისთვის ახალი აღმოჩნდა. ეს დიდი პასუხისმგებლობა და ტვირთია. ისტყვაკაშუმელ ქართულ მწერლობას

- **მადლობა, გაიხარეთ. ფეისბუქზე ძველი პოსტი გავზიარე, ბევრისთვის ახალი აღმოჩნდა. ეს დიდი პასუხისმგებლობა და ტვირთია. ისტყვაკაშუმელ ქართულ მწერლობას**

ახალს თუ ვერაფერს შესძენ, კარგი მკითხველი და დამფასებელი მაინც უნდა იყო. ასე მწამს და ამ რწმენით დაგვიწყე და განვაგრძობ ლიტერატურულ პროექტს.

- **როგორც ვიცით, თქვენი შვილი და შვილიშვილები საფრანგეთში ცხოვრობენ. კიდევ მრავალი ქართველი ემიგრანტია უცხოეთის ცის ქვეშ. მათაც ხომ არ აქვთ ამ ებოქალურ პროექტში მონაწილეობის სურვილი? და თუ აქვთ, რა გზითა და ფორმითა ეს შესაძლებელია?**

- ემიგრანტობა თანამედროვე საქართველოს ყველაზე დიდი გამოწვევაა, ერთ პატარა ოჯახში შვიდი ემიგრანტი მყავს. როგორ კარგადაც უნდა იყვნენ, უცხო ცის ქვეშ ბედნიერი ვერ იქნებიან, ეს კიდევ სხვა თემაა... თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით მსოფლიომ დრო და სივრცე გადალახა, ინტერნეტის წყალობით კავშირი მისაწვდომია, თუმცა უშუალო ურთიერთობა მაინც სულ სხვაა. საზაფხულო არდადეგებზე შვილები და შვილიშვილები ჩამოდან, მათაც სურთ პროექტში მონაწილეობა. ამერიკის შეერთებული შტატებიდან დამიკავშირდა სოფიო დეკანაძე, თვალყურს ვადევნებ პროექტის მიმდინარეობას, ზაფხულში ჩამოვიდვიარ და პროექტში მონაწილეობის დიდი სურვილი მაქვს... გერმანიიდან დამიკავშირდა ახა დუმბაძე... აღსანიშნავია, რომ ბევრმა თურქეთშიც და ფერეიდუნმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა პროექტში და ლამაზი ხელნაწერი დაგვიტოვა. ასე რომ, ცხელი საზაფხული გველოდება.

- **დაბოლოს, რას ეტყვიან მათ, ვისაც ზურაბ გორგილაძის პოეზია უყვარს და ამ პროექტში ვერ შეძლებს მონაწილეობას?**

- ვისაც გორგილაძის მშფოთვარე, მოგუგუნე, ზოგჯერ ძალიან ნაზი, მგრძობიარე პოეზია უყვარს, დამირეკოს ტელეფონზე (555 73 30 30) და მეწვიოს, ზურაბ გორგილაძის ერთ ლექსსაც დაგაწერინებ და გემრიელი ყავითაც გავუმასპინძლები.

- **დაბოლოს, რას ეტყვიან მათ, ვისაც ზურაბ გორგილაძის პოეზია უყვარს და ამ პროექტში ვერ შეძლებს მონაწილეობას?**

- ვისაც გორგილაძის მშფოთვარე, მოგუგუნე, ზოგჯერ ძალიან ნაზი, მგრძობიარე პოეზია უყვარს, დამირეკოს ტელეფონზე (555 73 30 30) და მეწვიოს, ზურაბ გორგილაძის ერთ ლექსსაც დაგაწერინებ და გემრიელი ყავითაც გავუმასპინძლები.

- **დაბოლოს, რას ეტყვიან მათ, ვისაც ზურაბ გორგილაძის პოეზია უყვარს და ამ პროექტში ვერ შეძლებს მონაწილეობას?**

- ვისაც გორგილაძის მშფოთვარე, მოგუგუნე, ზოგჯერ ძალიან ნაზი, მგრძობიარე პოეზია უყვარს, დამირეკოს ტელეფონზე (555 73 30 30) და მეწვიოს, ზურაბ გორგილაძის ერთ ლექსსაც დაგაწერინებ და გემრიელი ყავითაც გავუმასპინძლები.

- **დაბოლოს, რას ეტყვიან მათ, ვისაც ზურაბ გორგილაძის პოეზია უყვარს და ამ პროექტში ვერ შეძლებს მონაწილეობას?**

- ვისაც გორგილაძის მშფოთვარე, მოგუგუნე, ზოგჯერ ძალიან ნაზი, მგრძობიარე პოეზია უყვარს, დამირეკოს ტელეფონზე (555 73 30 30) და მეწვიოს, ზურაბ გორგილაძის ერთ ლექსსაც დაგაწერინებ და გემრიელი ყავითაც გავუმასპინძლები.

- **დაბოლოს, რას ეტყვიან მათ, ვისაც ზურაბ გორგილაძის პოეზია უყვარს და ამ პროექტში ვერ შეძლებს მონაწილეობას?**

- ვისაც გორგილაძის მშფოთვარე, მოგუგუნე, ზოგჯერ ძალიან ნაზი, მგრძობიარე პოეზია უყვარს, დამირეკოს ტელეფონზე (555 73 30 30) და მეწვიოს, ზურაბ გორგილაძის ერთ ლექსსაც დაგაწერინებ და გემრიელი ყავითაც გავუმასპინძლები.

- **დაბოლოს, რას ეტყვიან მათ, ვისაც ზურაბ გორგილაძის პოეზია უყვარს და ამ პროექტში ვერ შეძლებს მონაწილეობას?**

- ვისაც გორგილაძის მშფოთვარე, მოგუგუნე, ზოგჯერ ძალიან ნაზი, მგრძობიარე პოეზია უყვარს, დამირეკოს ტელეფონზე (555 73 30 30) და მეწვიოს, ზურაბ გორგილაძის ერთ ლექსსაც დაგაწერინებ და გემრიელი ყავითაც გავუმასპინძლები.

- **დაბოლოს, რას ეტყვიან მათ, ვისაც ზურაბ გორგილაძის პოეზია უყვარს და ამ პროექტში ვერ შეძლებს მონაწილეობას?**

- ვისაც გორგილაძის მშფოთვარე, მოგუგუნე, ზოგჯერ ძალიან ნაზი, მგრძობიარე პოეზია უყვარს, დამირეკოს ტელეფონზე (555 73 30 30) და მეწვიოს, ზურაბ გორგილაძის ერთ ლექსსაც დაგაწერინებ და გემრიელი ყავითაც გავუმასპინძლები.

- **დაბოლოს, რას ეტყვიან მათ, ვისაც ზურაბ გორგილაძის პოეზია უყვარს და ამ პროექტში ვერ შეძლებს მონაწილეობას?**

- ვისაც გორგილაძის მშფოთვარე, მოგუგუნე, ზოგჯერ ძალიან ნაზი, მგრძობიარე პოეზია უყვარს, დამირეკოს ტელეფონზე (555 73 30 30) და მეწვიოს, ზურაბ გორგილაძის ერთ ლექსსაც დაგაწერინებ და გემრიელი ყავითაც გავუმასპინძლები.

- **დაბოლოს, რას ეტყვიან მათ, ვისაც ზურაბ გორგილაძის პოეზია უყვარს და ამ პროექტში ვერ შეძლებს მონაწილეობას?**

„როცა გადაუღებლად წვიმს“ - მალე ბათუმის თეატრში

მარიამ ხომერიკი 27 48 93

ბათუმის დრამატული თეატრის 145-ე თეატრალურ სეზონს მალე რიგით VII სპექტაკლი შეემატება. წარმოებაში ჩაეშვა და სამაგიდო მუშაობა მიმდინარეობს სპექტაკლზე „როცა გადაუღებლად წვიმს“ მარტინ მაკდონას პიესის მიხედვით

რეჟისურა და მუსიკალური გაფორმება მალხაზ ასლამაზიშვილს ეკუთვნის, მხატვარი - დავით ტაყაიძე, რეჟისორის თანაშემწე - ნატო ლლონტი გახლავთ. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები მეგი კობალაძე, ლია აბულაძე, დავით ჯაყელი, გიორგი ყურაბა.

როგორც რეჟისორმა გვითხრა, პრემიერა დრამატული თეატრის მცირე სცენაზე 29-30 მარტს გაიმართება.

- **სპექტაკლი დედა-შვილის ურთიერთობაზეა, რაც დღეს საკმაოდ პრობლემურად მიიჩნევა. აქ არის სიყვარულის, სოციალური თემაც - რა დონემდე შეიძლება მივიყვანოს ცხოვრების პირობებმა, თითქმის ყველაფერზე, რაც შეიძლება გვადელებდეს და გვანტერესებდეს. ძირითადად, მაინც მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაზეა - რა არასწორად მოქმედებს ხოლმე ხშირად მშობელი, როგორ ერევა შვილის ცხოვრებაში. ბუნებრივია, უყვარს და მისთვის კარგი**



უნდა, მაგრამ პირიქით გამოსდის და შეიძლება სულ გაუფუჭოს ცხოვრება. ეს სპექტაკლი მარტინ მაკდონას პიესის მიხედვით დაიდა, მაგრამ სრულიად გადავაცეთ. ალბათ იმიტომ შევარჩიე, რომ ჩემთვის საკმაოდ მტკივნეულ და მნიშვნელოვან თემებს ეხება. სამაგიდო სამუშაოები დავიწყეთ. ჭერ მხოლოდ 2 რეპეტიცია გვქონდა, თუმცა უკვე ჩანს, რომ ყველაფერი კარგად მიდის. პრემიერა 29-30 მარტს დრამატული თეატრის მცირე სცენაზე გვექნება, რადგან საკმაოდ კამერული პიესაა და სცენა მკაფიოდ რეჟისორთან ახლოს უნდა იყოს, - გვითხრა მალხაზ ასლამაზიშვილმა. ჩვენ ვაგვსაუბრებთ სპექტაკლის



ერთ-ერთ მონაწილე მეგი კობალაძეს, რომელიც სპექტაკლშიც საკუთარი დედის, მსახიობ ლია აბულაძის პიესის მიხედვით დაიდა, მაგრამ სრულიად გადავაცეთ. ალბათ იმიტომ შევარჩიე, რომ ჩემთვის საკმაოდ მტკივნეულ და მნიშვნელოვან თემებს ეხება. სამაგიდო სამუშაოები დავიწყეთ. ჭერ მხოლოდ 2 რეპეტიცია გვქონდა, თუმცა უკვე ჩანს, რომ ყველაფერი კარგად მიდის. პრემიერა 29-30 მარტს დრამატული თეატრის მცირე სცენაზე გვექნება, რადგან საკმაოდ კამერული პიესაა და სცენა მკაფიოდ რეჟისორთან ახლოს უნდა იყოს, - გვითხრა მალხაზ ასლამაზიშვილმა. ჩვენ ვაგვსაუბრებთ სპექტაკლის

ერთ-ერთ მონაწილე მეგი კობალაძეს, რომელიც სპექტაკლშიც საკუთარი დედის, მსახიობ ლია აბულაძის პიესის მიხედვით დაიდა, მაგრამ სრულიად გადავაცეთ. ალბათ იმიტომ შევარჩიე, რომ ჩემთვის საკმაოდ მტკივნეულ და მნიშვნელოვან თემებს ეხება. სამაგიდო სამუშაოები დავიწყეთ. ჭერ მხოლოდ 2 რეპეტიცია გვქონდა, თუმცა უკვე ჩანს, რომ ყველაფერი კარგად მიდის. პრემიერა 29-30 მარტს დრამატული თეატრის მცირე სცენაზე გვექნება, რადგან საკმაოდ კამერული პიესაა და სცენა მკაფიოდ რეჟისორთან ახლოს უნდა იყოს, - გვითხრა მალხაზ ასლამაზიშვილმა. ჩვენ ვაგვსაუბრებთ სპექტაკლის

ერთ-ერთ მონაწილე მეგი კობალაძეს, რომელიც სპექტაკლშიც საკუთარი დედის, მსახიობ ლია აბულაძის პიესის მიხედვით დაიდა, მაგრამ სრულიად გადავაცეთ. ალბათ იმიტომ შევარჩიე, რომ ჩემთვის საკმაოდ მტკივნეულ და მნიშვნელოვან თემებს ეხება. სამაგიდო სამუშაოები დავიწყეთ. ჭერ მხოლოდ 2 რეპეტიცია გვქონდა, თუმცა უკვე ჩანს, რომ ყველაფერი კარგად მიდის. პრემიერა 29-30 მარტს დრამატული თეატრის მცირე სცენაზე გვექნება, რადგან საკმაოდ კამერული პიესაა და სცენა მკაფიოდ რეჟისორთან ახლოს უნდა იყოს, - გვითხრა მალხაზ ასლამაზიშვილმა. ჩვენ ვაგვსაუბრებთ სპექტაკლის